140
1985

ISSN 0182— 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

10
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშვიდობა-ბავშვებს, მშვიდობა-პლანეტას!

მ. ს. გორბაჩოვი არტეკელებთან — საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

**გურზუფი** (ყირიმის ოლქი), 16 აგვისტო. საქდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ბანაკი „არტეკი" საზეიმოდ მორთულა. საბჭოეთის ნორჩმა ლენინელებმა და მათმა თანატოლებმა — 60 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დღეს აქ გახსნეს საერთაშორისო თეატრალიზებული დღესასწაული „მეგობრობენ მთელი პლანეტის ბავშვები!". იგი მიეძღვნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალს, დიადი გამარჯვების 40 წლისთავსა და „არტეკის" 60 წლისთავს.

არტეკელებს სტუმრად ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

მთავარ მოედანზე მას მხურვალედ მიესალმნენ ნორჩი მცხოვრებნი საკავშირო ჯანმრთელობის კერისა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი, რომ მათ კარგად დაისვენონ და ისწავლონ.

ფრთათეთრა თოლიებივით განლაგებულან შავი ზღვის სანაპიროზე ვრცელი ნათელი კორპუსები, სტადიონი, სპორტული კომპლექსები. ბავშვების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი პლაჟები, მრავალრიცხოვანი სათამაშო მოედნები, პიონერთა სასახლე, კოსმონავტიკის მუზეუმი, რომელიც ი. ა. გაგარინის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა, პიონერული სწავლების სახლი, ავტობაზა, რადიოსადგური და საკუთარი ნავსადგურიც თავისი ფლოტით. ძნელია დაიჯერო, რომ პიონერული რესპუბლიკა, რომლის დიდება მთელს მსოფლიოს მოედო, რამდენიმე ბრეზენტის კარვით დაიწყო.

თავიანთი ინტერნაციონალური ბანაკის იუბილესათვის არტეკელებმა დღეს საჩუქრად მიიღეს ლენინის მემორიალი.

ვ. ი. ლენინის ძეგლი ყვავილებით შეამკო მ. ს. გორბაჩოვმა.

მ. ს. გორბაჩოვმა ჰკითხა ბავშვებს, თუ რა წარმატებები აქვთ სწავლაში, როგორია მათი ინტერესები, უსურვა კარგი დასვენება.

სტადიონის მოედანზე გამოდიან ორკესტრები. ჟღერს საზეიმო მარში, რომელიც იუწყება ბავშვთა საერთაშორისო დღესასწაულის გახსნას. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს მ. ს. გორბაჩოვს.

ნორჩები მხურვალედ და დიდხანს უკრავენ ტაშს. ისინი ხმამაღლა გაიძახიან: „მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის!", „მშვიდობა!", „მეგობრობა!", „არტეკი!".

სტადიონის ტრიბუნაზე აინთო ასობით პატარა წითელი ფარანი: ბავშვები პატივს მიაგებენ იმათ ხსოვნას, ვინც ბედნიერ მომავალს შესწირა სიცოცხლე გასული ომის წლებში. ეკრანზეა დოკუმენტური ქრონიკის კინოკადრები, რომლებიც ასახავენ მშვიდობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრულ ბრძოლას. სხვადასხვა ქვეყნის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები და ბიჭუნები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ლოზუნგები, პლაკატები და ნახატები, ავსებენ სტადიონის მთელ სივრცეს. გაისმის სიმღერების კომპოზიცია ბავშვთა ნაკრები გუნდის შესრულებით. სხვადასხვა ხალხების შვილები ერთხმად ასრულებენ საყვარელ სიმღერას „დაე, მუდამ იყოს მზე!". სტადიონის თავზე ცაში გამოჩნდა დიდი ოქროსფერი და ხუთი ნაირფერი ჰაერბურთი, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ მზესა და მშვიდობას ყველა კონტინენტისათვის. მოედანზე კი საფესტივალო კატიუშა და ოლიმპიური დათუნია ჩაებნენ მსოფლიოს ხალხების ზღაპრების გმირთა მხიარულ ფერხულში.

რამდენიმე საათს გასტანა სიხარულით, ბედნიერებით აღსავსე და ბავშვების ღიმილით გაცისკროვნებულმა ამ დღესასწაულმა.

# АРТЕК 85

# რა დაგვავიწყებს იმ დღეებს

მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის ათასობით გოგო-ბიჭის ღიმილმა გააცისკროვნა „არტეკში“ გამართული ბავშვთა საერთაშორისო თეატრალიზებული ზეიმი „მეგობრობენ მთელი პლანეტის ბავშვები“, რომელიც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალს, დიადი გამარჯვების 40 წლისთავსა და „არტეკის“ 60 წლისთავს მიეძღვნა. ამ დღეს ნორჩებს სტუმრად ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. ამ დიდი დღესასწაულის მონაწილეთა შორის ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი წარგზავნილებიც იყვნენ. თავიანთ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ ლენინური კომკავშირისა და ბავშვთა I საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები, თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები.

**ვანო მელაძე:** — არასოდეს დამავიწყდება „არტეკში“ გატარებული დრო. ყველაზე მეტად 16 აგვისტო დამამახსოვრდა. სწორედ ამ დღეს გაიმართა პიონერიის რესპუბლიკაში დიდი საერთაშორისო დღესასწაული, რომელშიც ჩვენი ანსამბლიც მონაწილეობდა. განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა შესძინა ჩვენს ზეიმს ამხ. მ. ს. გორბაჩოვის სტუმრობამ. ამაღელვებელი იყო მასთან შეხვედრა ბანაკის მთავარ მოედანზე. იმ წუთებში ყველა ჩვენგანმა იგრძნო, რომ მოვალეა წარჩინებული სწავლითა და საერთო სახალხო საქმეებში აქტიური მონაწილეობით პასუხობდეს პარტიის მამობრივ ზრუნვას ნორჩ თაობაზე. ხოლო როდესაც „არტეკის“ სტადიონი აივსო სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ჩვენი თანატოლებით, რომლებსაც ხელში ეჭირათ მშვიდობისადმი, მეგობრობისა და სოლიდარობისადმი მიძღვნილი პლაკატები, ლოზუნგები, ნახატები, ჩვენ ვირწმუნეთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვების ინტერნაციონალური მეგობრობა მშვიდობისათვის ბრძოლის წარმატების საიმედო საწინდარია.

„არტეკში“ ბევრი მეგობარ-ამხანაგი შევიძინე, მათ შორის — ავღანელი, ჩილელი, პორტუგალიელი ბავშვები, თანატოლები საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის ბავშვთა ანსამბლიდან, ბიჭები სასულე ორკესტრიდან „სუვოროველები“.

**დავით მდივანი:** — „არტეკში“ პირველად მოვხვდი და თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამ დაუვიწყარი საერთაშორისო ზეიმის მონაწილე გავხდი. „არტეკში“ პირდაპირ მოსკოვიდან ჩავედით, ჩვენი ანსამბლი ხომ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII ფესტივალშიც მონაწილეობდა. ჯერ ფესტივალზე მიღებული შთაბეჭდილებები არ გაგვნელებოდა, რომ ახლა ბავშვთა დიდ დღესასწაულს შევესწარით. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი არაჩვეულებრივი იქნებოდა, საგულდაგულოდაც ვემზადებოდით მისთვის, მაგრამ ნანახმა და განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ზეიმზე სტუმრად გვეწვია ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი. მან გულთბილად მოგვილოცა ეს დღე, გვისურვა კარგი და ხალისიანი დასვენება. ჩვენც, საქართველოს წარგზავნილებმაც, შევუერთეთ ჩვენი ხმა ათასობით არტეკელის ხმას: „მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის“, „მშვიდობა!“, „მეგობრობა!“

**თეონა რუხაძე:** — მესამე რაზმში ჩვენთან ერთად ჩვენი ავღანელი თანატოლებიც იყვნენ გაერთიანებული. ბევრი მათგანი უშუალო მოწმეა ავღანელი ხალხისადმი მტრულად განწყობილი ძალების აგრესიისა. ჩვენი ბიჭები პატარა აბდულას დაუამხანაგდნენ, მზაკვრულად მომართულმა კალმისტარმა რომ წააგლიჯა თითები. ნორჩმა ავღანელებმა კარგად იციან, რა დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა ხალხს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ჩვენი მეგობრები ჩვენზე ადრე გაემგზავრნენ ბანაკიდან. განშორება ძალიან გაგვიჭირდა, ჩემმა მეგობარმა მალია მალიზამ ცრემლები ვეღარ შეიკავა და ატირდა. თავი იმითღა დავიმშვი-

გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

10 ოქტომბერი 1985

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დეთ, რომ წერილებს მივწერთ ერთმანეთს.

ბანაკის იუბილისათვის არტეკელებმა საჩუქრად ლენინის მემორიალი მიიღეს. მათ შორის, ვისაც პატივი ხვდა, ყვავილებით შეემკო დიდი ბელადის ძეგლი, მე და ზურიკო აგაიანიც ვიყავით. რა დამავიწყებს იმ წუთებს! ასევე მემახსოვრება შეხვედრა ინტერნაციონალურ ზეიმზე სტუმრად ჩამოსულ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვთან.

**ზურაბ შანიძე:** — საინტერესო და შინაარსიანი იყო ინტერნაციონალური ბანაკის ცხოვრების ყოველი დღე. გარდა იმისა, რომ ვისვენებდით და ჯანმრთელობას ვიკაჟებდით, ვმართავდით კონცერტებს, ჩვენ თითქმის ყველა პიონერულ საქმეშიც აქტიურად ვმონაწილეობდით. გამოვუშვით კედლის გაზეთები, ვიყავით ლაშქრობაზე, დავწერეთ წერილები, რომლებიც შემდეგ ზღვის ფოსტით — დალუქული ბოთლით გავუგზავნეთ მსოფლიოს ხალხებს და მოვუწოდეთ, დაუცხრომლად იბრძოლონ უღრუბლო ცისათვის. ჩვენმა ბიჭებმა სპორტულ შეჯიბრებებშიც ისახელეს თავი. მამუკა ჯანელიძემ ყველას აჯობა მაგიდის ჩოგბურთში. დათო მდივანმა ცურვაში გაიმარჯვა, ჭადრაკსა და შაშში კახა კაკაბაძემ გამოიჩინა თავი. მათ არც მესამეკლასელი ზურიკო ყვითელაშვილი ჩამორჩა, რომელიც უფროსი ასაკის ბიჭებს შეეჯიბრა ცურვაში და მეორე ადგილიც დაისაკუთრა.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, ბავშვთა საერთაშორისო დღესასწაულმა, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სტუმრობამ მოახდინა. თეატრალიზებული ზეიმის მონაწილეებმა სიმბოლურად გადაფურცლეს საბჭოთა ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცლები. მთელი ის დღე გამთბარი იყო სხვადასხვა კონტინენტის ბავშვთა ბედნიერი ღიმილითა და საყოველთაო სიხარულით. ერთ ომახიან და წკრიალა სიმღერად შეირწყა ათასობით ბავშვის ხმები, სხვადასხვა ენაზე რომ ასრულებდნენ ყველასათვის საყვარელ სიმღერას „დაე, მუდამ იყოს მზე!"

**მამუკა ჯანელიძე:** — რამდენ რამეს ვიხსენებთ ახლა, როცა ერთად ვიკრიბებით, ანსამბლის მეცადინეობებზე, უბრალო შეხვედრებისას ვიხსენებთ მოსკოვის ფესტივალს, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გამართულ ჩვენ კონცერტებს, საბჭოთა დელეგაციის გალა კონცერტში მონაწილეობას, „არტეკის" საბანაკო კარნავალს, საფესტივალო სალიუტს სტადიონის თავზე და აუცილებლად — იმ ღირსსახსოვარ დღეს, როდესაც ბანაკში ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი გვეწვია, მოგვილოცა ბავშვთა საერთაშორისო ზეიმი, „არტეკის" 60 წლისთავი. იმ ჩვენს დღესასწაულს „მეგობრობენ მთელი პლანეტის ბავშვები" ერქვა და ეს მეგობრობა ხალხთა დაახლოების, მათი სოლიდარობის, მშვიდობისათვის მათი საერთო ძალებით ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილია, იგი მომავალშიც გაგრძელდება და გაძლიერდება, მე ამაში დარწმუნებული ვარ.

**ნარგიზა ჭავჭანიძე:** — იცით, ასე მგონია, რომ ახლა, როცა საკმაო დრომ განვლო, უკეთ ვგრძნობ, რა ბედნიერები ვიყავით მე და ჩემი ამხანაგები მოსკოვში ფესტივალზე, მერე კი „არტეკში". ჩვენ ხომ ახალგაზრდების, ბავშვების საერთაშორისო სოლიდარობისა და ურთიერთთანადგომის უდიდესი გამოვლინების მონაწილენი ვიყავით. ჩვენ ხომ საშუალება მოგვეცა გვენახა და დავრწმუნებულიყავით, რა ძლიერია მშვიდობისმოყვარეთა არმია, რომლის წამყვან ძალას სწორედ ახალგაზრდობა შეადგენს, და რომელსაც მალე დღევანდელი ჩემი თანატოლებიც შეერწყმიან. ფესტივალმაც და „არტეკმაც" ბევრი მეგობარი შეგვძინა, ჩვენ არასდროს დავივიწყებთ ერთმანეთს.

**მ. კარგარეთელი**



კიდევ ბევრჯერ გაიხსენებენ ბავშვები „არტეკში" გატარებულ დღეებს...

მ. მათველაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მინდია არაბული**

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა



# ბიჭას აღმართი, დაღმართები

ჩავაბარე მისაღები გამოცდები და სტუდენტი გავხდი. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა.

გამარჯვებული დავბრუნდი სოფელში, სადაც მამა და ბაბუა დამხვდნენ. დედა უკვე აღარა მყავდა. ძალიან გაუხარდა ბაბუაჩემს, რომ უმაღლესში ჩავირიცხე და უფროსი შვილიშვილი ნასწავლი ეყოლება; სხვასთან მისვლა აღარ დასჭირდება სამთავრობო საქმეებზე, მისი ნასწავლი შვილიშვილი მოუვლის თვითონ. მამაჩემს კი შევატყვე, ეწყინა კიდეც. ეწყინა იმიტომ, რომ მუშახელი დააკლდა, ჭირ-ლხინში გვერდზე ამომდგომი კაცი დააკლდა, სახელ-სირცხვილის მამძევი კაცი წაუვიდა; მანამდეც სულ იმას ცდილობდა, სკოლიდან გამოვსულიყავი და ხვნასა და თესვაში მივხმარებოდი, მასთან ვყოფილიყავი თიბვასა და მკაში, მტრისა და მოკეთის დახვედრაში. მაგრამ მეოთხე კლასის დამთავრება მაინც მაცალა — წერა-კითხვასა კარგად ისწავლის და ძვალნიც გაუმაგრდებიანო. ამ დროისათვის მართლაც წამოვიზარდე, წამამდგარა ვაჟკაცს დავეფერე; დედამ პირველად გამიყოლა სასტუმროს; ხანჯალიც პირველად შევიბი და ღულის ჭალაც ისე ავიარე, რომ დედაჩემის წინ მივდიოდი, როგორც სრულუფლებიანი ვაჟკაცის წესი იყო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მტრისთვისაც უნდა შამექცია და მოკეთისთვისაც.

სხვა კაცად მამზადებდა მამაჩემი, მაგრამ რა ვქნა, ვერ გავუმართლე, ახალი დროის ქარბორბალამ ამიტაცა და იმიტომ.

მეხუთე კლასში რომ უნდა მივსულიყავი, ორი დღით ადრე მოვინახულე ჩვენი სკოლა-ინტერნატი; მოვინახულე ჩემი მომავალი კლასელები, რომლებიც უკვე ჩამოსულიყვნენ შორეული სოფლებიდან; ფშავისა და მთას იქით-მიღმახევის ოთხწლიან სკოლადამთავრებულებიც ჩანდნენ. ინტერნატში საპირველსექტემბრო ხალისიანი ჟივილ-ხივილი იდგა. მე ერთ ჭრელკაბა, ყვითელთმიან გოგოზე შემივარდა თვალი, რომელიც ჩემთან ერთად ისწავლის მეხუთე კლასში.

შინ რომ დავბრუნდი, მშობლებს განვუცხადე, — ხვალ სკოლაში უნდა წავიდე-მეთქი.

— რა სკოლაი, აღარცრაი! — წამომყვირა მამაჩემმა,— აგერ შენ სკოლაი! — სამკალად მოსული ყანისაკენ გაიშვირა ხელი, ძალიან ნაწყენმა, რომ შვილი სიტყვას უბრუნებს და მისი სურვილის წინააღმდეგ აპირებს წასვლას. მივხვდი, ამ საკითხზე მასთან საუბარი და კამათი ზედმეტი იყო და გავჩუმდი.

რომ დაბნელდა, ქარიპანში დადგმულ ჩაფში ჩავწექი და გუდანური წავიფარე. მთაში ზაფხულშიც ცივა და იმიტომ. მაგრამ ძილი არა და არ გამეკარა. ან კი რა დამაძინებს. ვფიქრობ, როგორ მოვიქცე ხვალ. ინტერნატში მიღების დღეა, სახელმძღვანელოებსაც ხვალ დაარიგებენ, და თუ დროზე არ მივედი, უწიგნოდ დავრჩები... აუცილებლად უნდა წავიდე ხვალ! მომბეზრდა ხარების წაფვა და კიშხევიდან თივების თრევა...

საგათენებოდ გეგმა უკვე შევადგინე, — ხვალ დილით დედაჩემს ვეტყვი, რომ სამწყესურში საგზალი არა მყოფნის, გუდას პურ-სატნით გავავსებინებ, რომ მანამდე მეყოს, სანამ ინტერნატში მომცემენ ჩემს წილ ულუფას. საქონელს გაღმა, ჩვენი სახლის გახედულ, ჩვენსავე სვილის ყანებში შევყრი, რომ დროულად დაინახონ, არაფერი დაეკარგოთ, ნადირმა არაფერი მოიხელთოს, და მოვუსვამ სკოლისაკენ, რაც იქნება, იქნება, როგორმე გავალ იოლად!

მეორე დღეს ჩვეულებრივად გავყევი ძროხებს, მაგრამ საქონელი ყანაში შევუშვი და რაც ძალ[illegible] და ღონე მქონდა, სკოლისაკენ მოვკურცხლე. რატომღა[illegible]მის შიში მქონდა, რომ ვიღაც დამედევნებოდა, დ[illegible]ეოდა და უკან დამაბრუნებდა. გზაში მანგიათ გოგ[illegible]ის მეტი

არავინ შემყრია. იმან, ეტყობა, ყურადღება მიაქცია ჩემს დაღლილობას და მკითხა:

— ხვარა ამბავი, სად მიხოლ?

— არა ამბავი, ჯალაფთ ასანთის საყიდლად გამომგზავნეს, — ვუთხარი გოგოთურს და სწრაფად გავშორდი, რომ მეტი აღარაფერი ეკითხა.

სადაც ჩვენები მკიდნენ, გოგოთურს ისე უნდა აევლო. აიარა კიდეც და სწორედ იმ დროს, როცა გაღმა სოფლელებმა დაიწყეს ძახილი, — მგელათ ყანებში აკიათ საქონელია და მიჰპატრონდითო.

— რას ვინ იძახ, საქონისად მწყემსი მყავ გაყოლებული!— გასძახა მამაჩემმა და გოგოთურთან ბაასი გააგრძელა. ძახილი რომ კიდევ გამეორდა, გოგოთური მაშინ გავიდა გულად და მამაჩემს ჰკითხა: — ვინ ას მწყემსობად?

— ჩვენ გიგაი, ქვე რა დაეძინა, რას იძახან? — შეეჭვდა მამაჩემი. ამის გაგონებაზე გოგოთური გულიანად ჩაბჟირდა.

— გიგა აჭეხის ხევთან გამცდა აქნაშქნაშული, ჯალაფთ ასანთის საყიდლად გამომგზავნესო!— თქვა გოგოთურმა და კიდევ უფრო გულიანად ჩაბჟირდა.

მამაჩემი მიხვდა ჩემს ოინებს. ერთხანს უხუმარი დაჰყურებდა ულოზე გაშლილ ნამიან ხელეულს, მერე კი იკადრა და ნათესებიდან საქონლის გამოსარეკად წავიდა.

ჩემი სახლიდან გაქცევის ამბავი მთელ სოფელს მოედო. მართალია, სკოლაში წავედი, მაგრამ შვილის სახლიდან გაქცევა მაინც სააუგოა მშობლებისათვის.

შეწუხდნენ მოკეთეები, ნათესავები. ყველამ დაიჯერა, რომ მამცდარი ვარ და თანაგრძნობას უცხადებენ მამაჩემს, რომელიც თავზე ბუზს არ ისვამს და საკუთარმა შვილმა კი დაულია კარში გამოსაჩენი. ასეთ ანდრეზ არც ას ხევსურეთს! ჩემმა ნათლიამ ჩემი თანდასწრებით მიუსამძიმრა მამაჩემს შვილის მამცდრობა და ანუგეშა,— გულს ძალიან ნუ დაიღონებ, ბალღია, გაიზრდება და ჭკვაში ჩავარდებაო. მაგრამ ჩემი ჭკვაში ჩავარდნა მამაჩემს აღარა სჯერა, იმედნასხლეტია სამუდამოდ, ღამესავით დადის და დანა პირს ვერ გაუხსნის. დედაჩემს აუკრძალა ჩემთან მოსვლა და საჭმლის მოტანა. ინტერნატში დღეში სამას გრამ პურზე ვარ და შიმშილმა უნდა მაიძულოს, რომ სახლში დავბრუნდე. მაგრამ არც მე დავბრუნდი სახლში და არც სახლიდან მომაკითხეს. დაზამთრებამდე ვიყავი ასე უპატრონო და მშიერმწყურვალი. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ მივაკითხე ხაშიათ ბაღათერას ხელის ვაშლებს და უბედატენილი ბევრჯერ ძლივს დავუსხლტი ბაბოთ მამიდას კოხებს.

ომი ახალი დამთავრებულია, ინტერნატში გვცივა და გვშია.

პირველად დედამ მომაკითხა სკოლაში — დედის გულმა ვერ გაუძლო მამცდარი შვილის სიბრალულს; სასმელ-საჭმელით სავსე გუდა მომიტანა და აცრემლე-



ბულმა მითხრა, — რაზე ჰკვდები შიმშილ-წყურვილით, სახლ-კარი გვაქვს, სარჩო-საბადებელი მოგვეძევება, მოდი და კაცთფერად იცხოვრეო.

დედამ არ იცის, რომ მე სახლში აღარ დავბრუნდები, სკოლას არ მივატოვებ. ამდენ გაჭირვებას სწორედ იმიტომ ვიტან, რომ ერთ დროს კაცურად ვიცხოვრო!

ზაფხულის არდადეგებზე ისევ საქონელს ვმწყემსავ ქალიკათ ბეჟიკუასთან ერთად. მე და ის ხან კოშკებს ვაშენებთ, როცა სამწყემსურში ვართ, ხან ჟოლოსა და მაყვალს ვკრეფთ. ხევხუვებში ხეტიალის დროს რამდენჯერ დავურღვიეთ მყუდროება დათუნია-საძაგელს, შველებიც ბევრჯერ წამოვაფრთხეთ შამბიანებში.

საღამოს ვზივარ ქარიპანში და იმ ჭრელკაბა ფიქრიაზე ლექსებს ვწერ.

ერთ საღამოს, საქონელი რომ მივრეკე იალაღიდან, მამამ მითხრა, — ხვალ იდიათ გამახელას სამარხია გრილწყალთ, ჩვენი მოკეთეებია და უნდა წახვიდეო. წავალ-მეთქი, ვუთხარი და მეორე დღეს, გრძელსადილობისას, შევჯექი ჩემს ცხენზე და წავედი გრილწყალთ, ჩვენი სოფლის ზევით მთის უბეს მიკრულ პატარა სოფელში. იდიათ გამახელას სამარხში კარგა ბევრ ხალხს მოეყარა თავი; ჩანდა, რომ დოღიც იქნებოდა — მგლის ხელ-მუხლიანი ვაჟები სადოღედ ამზადებდნენ ცხენებს, უკვე გამზადებულები — ძუაგამონასკვული და დასარტყლულ-დაკვართული ცხენები კი ფარდაგზე დაყრილ ქერზე იყვნენ მიშვებული...

ცხენით მისული რომ დამინახა კოტორელთ ბაჭყიამ, მაშინვე მითხრა, დოღში ცხენი გვაკლდება და უნდა წახვიდეო.

ცხენ-მხედარს დიდი გზა უნდა გაევლო, ხუთ სოფელში იყო ტაბლა დადგმული გორშეემა და ლიქოკში, ხუთგანვე უნდა მივსულიყავით. გზა ხევხუვიანი, ასავლელ-ჩასავლელი და კლდე-კიბირჭიანი იყო. ამან, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა, მაგრამ კოტორელთ ბაჭყიას უარი ვეღარ ვუთხარი. ჩემი საღარი ახალი დანალული მყავდა, ამაზე ფიქრი არ იყო. მხოლოდ ძუა გამოვუკარი, ფაფარი დავვარცხნე, სარტყელი შემოვახვიე და ისიც ფარდაგზე დაყრილ ქერზე მივუშვი.

მარბოლია ჩემი საღარი, მაგრამ აქამდე ვერ გამოვაჩინე, სახელი ვერ გავუთქვი. როცა მას ყიდულობდა მამაჩემი, მთელი სოფელი თავს დაგვტრიალებდა, უფროსიცა და უმცროსიც ერთნაირად ამოწმებდა ჩემს მომავალ საფერხეს და ყველამ ერთხმად მოიწონა. ჯერ გოგოთურთ მამუკა მოახტა და კურდღელივით გადაატარა საცდელნი, მერე კი უფრო მძიმე წონის ივანეთ უნცრუა შეჯდა და არც მაშინ გასჭირვებია ცხენს საცდელთ გადავლა.

საცდელთ ჩვენი სოფლის თავში, ჩდილის მხარეს, ერთ ადგილს ეძახიან. როცა რომელიმე ჩვენებური ცხენსა ყიდულობდა, იმ მანძილზე გამოსცდიდა, რომელიც ჯერ პატარა დაღმართია, მერე კარგა მანძილი სწორია და ბოლოს აღმართიც არის. ამ მანძილს თუ დაოთხილი გადაივლიდა ცხენი, მუშტარი აღარ ჭოჭმანობდა, მაშინვე ყიდულობდა იმ ფასად, რასაც გამყიდველი თხოულობდა, მარბოლი იყო და იმიტომ. ცხენს თუ ცოტა გაუჭირდებოდა საცდელთ გადავლა, მაგრამ ახალგაზრდა იყო, მუშტარი ფიქრობდა, მუხლს დაიყენებსო და ვაჭრობა იმართებოდა, ან შეიძლება ფეხითი ხელითით შეცვლილიყო. თუ ცხენს საერთოდ გაუჭირდებოდა ამ ადგილის ოთხით გადავლა, და ჯანჯალს ამოურევდა, — შეშის საზიდად კი არ მინდაო, იტყოდა მუშტარი და ყიდვა-გაყიდვაზე ლაპარაკი წყდებოდა.



მ. არაგულის მოთხრობას „გიგას აღმართ-დაღმართები“ „პიონერის“ კონკურსზე მესამე პრემია მიენიჭა.

ასეთივე საცდელი იყო ბავშვებისთვისაც. დღეობისას ან რომელიმე უქმე დღეს უფროსები ყმაწვილებს ერთმანეთს გვაჯიბრებდნენ სირბილში. გამარჯვებულებისათვის საგანგებოდ გამოთლილი მშვილდ-ისარი იყო გამზადებული, რომელსაც ცხენის ძუისაგან დაწნული უცვეთ-უწყვეტი საბმი ჰქონდა; საგანგებოდ ნაწრთობი იყო ისრის ზროც, რომ დიდხანს გაეძლო. ეს ჯილდო მამაჩემის ხსოვნას ვანოთ მიხეილს ჰქონდა მიღებული, ახლა კი ჩემს ჭერხოში ეკიდა ორი ასეთი მშვილდ-ისარი. ყველა ცდილობდა, რომ ეს სანუკვარი ჯილდო როგორმე მოეპოვებინა, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, სულ ბევრი — ბოლო აღმართის შუამდე მიეღწია, იქ კი აქნაშენაშული ჩამოიხვევდა და უკან ბრუნდებოდა ხალისდაკარგული.

ძნელი იყო საცდელთ გადავლა, ამას მგლის მუხლი სჭირდებოდა და ეს მუხლი მე მქონდა. ამიტომ მეძახდა დედაჩემი გილაგოს. არ ვიცი, ეს სიტყვა რას ნიშნავს, მაგრამ დედას ესახელებოდა, რომ მისი სიყრმის შვილი სიმარდით ტოლ-სწორებში გამოირჩეოდა, და გილაგოს მეძახდა. დედას ბევრჯერ უნდოდა, გამარჯვებულს მომფერებოდა, მაგრამ არა! ქმრეულები შეასწრებდნენ თვალს და გაუცინებდნენ, შვილისადმი სიყვარულის გამჟღავნება რატომღაც მიღებული არ იყო ჩვენში და იმიტომ.

სიმარდისა და ხელ-მუხლის გამოსაცდელად დღეს კარგა ხნის ნანატრი ჟამი დამდგარა ჩემთვისაც და ჩემი ცხენისთვისაც. ვიცი, ჩვენებური დოღი რა ხელ-მუხლსაც მოითხოვს, რა გამძლეობაც უნდა ცხენსაც და მხედარსაც ხევხუვების ვიწრო ბილიკებზე, მათს აღმართსა და დაღმართზე, სწორსა და კლდე-კიბირჭიანზე! მაგრამ დღეს თუ არ ვცადე ხელ-მუხლი, როდისღა ვცადო! დღეს თუ არ გავითქვით სახელი მე და ჩემმა საღარმა, როდისღა გავითქვათ!

ცხენთ უფროსი მსუბუქად შეახტა თავის ლურჯას,—

ცხენებზეო! — დაიძახა და მივყევით ჩვენც, დანარჩენები. სამჯერ შემოვუარეთ ცივს და თვალის დახამხამებაში ცხენ-მხედარი კოტზე დაეშვა. დავეშვით მე და ჩემი სალარიც. წავტრელდი ჩალმაზე, ცხენის ზურგზე ქანაობა დავიწყე. ვაჟო, რა გემართება-მეთქი! — ჩავძახე ჩემს თავს, გავიმაგრე გული, სარტყელს მაგრა ჩავავლე ხელი და ვაკეზე სხვათა სწორად გავიყარენით მე და ჩემი სალარი.

ცხენი საოცრად გრძნობს, როდის მეშინია და როდის არა! ჩემს დაშინებას ვერ იტანს და თითქოს ჯიბრზე იქცევა, — როგორც კი რომელიმე თავქვეზე ფაფარში წავავლებ ხელს, სისწრაფეს უმატებს და უნდა, რომ გადმომაგდოს. მაგრამ თუ ერთი-ორი მათრახი ამოვკარ, ყურებდაცქვეტილი მიიძაგრება და ვცდილობ, შიში არ ვაგრძნობინო უინიან ულაყს.

რამდენჯერ მინახავს ლაგმისტარჩამოშვებული, გაგიჟებული უმხედრო ცხენი, რომელმაც სადღაც კლდეებს მიანარცხა თავისი ბეჩავი მხედარი და მარტო მიჰყვება ძალნაქნარ ცხენთ. იმასაც შევსწრებივარ, რომ ვიღაც დედის გაზრდილი, მგლის ხელ-მუხლიანი ვაჟი უმხედრო ცხენის აღვირს სწვდომია, თვალის დახამხამებაში მოხტომია და პირველი მისულა დოღში, თუმცა არა სცოდნია ვისი ცხენია, ვის დაუსაკუთრა პირველი ადგილი. ასეთ ვაჟს ზოგჯერ საკარგყმოსაც გადმოუდგამდნენ ხოლმე.

არა, მე ვერ გადმომაგდებს ცხენი, რაც უნდა აღმა-ჩაღმა იყოს. ცხენ-მხედარში ყველაზე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ არაფერს ვუთმობ გამოცდილ მხედრებს; არც სულ წინ მივდივარ, არც სულ უკანა ვრჩები.

ცხენთ უფროსმა რომ ნება დაგვრთო და ძალი ვქენით, ატყდა ყვირილი, კივილი, ჭიხვინი, ნალების ძგრიალი... მეც დავჰკივლე და გაფრინდა ჩემი ჭიხვინა, რომელი შიში და ტრელობა! მგონია, ფრთები გამოგვესხა ორივეს და მივფრინავთ.

გზას გაეკრა ჩემი სალარი. დაძაგრული მიჰყვება აღმა-ჩაღმას. გველეთის ბოლოს, სახვევთან, ორ წინ მიმავალ ცხენ-მხედარსაც რომ გადავუსწარი, შემომესმა:

— ოოო... დედის გაზრდილიც რაიმ ყოფილ, რას ჩაის, გახენეთა!

— არწივის წიწილაი, ღმერთისმამ! — მომადევნა მეორემ.

დამცინოდნენ გამოცდილი მხედრები, არ ვმხედრობდი სწორად და იმიტომ.

— ნელა, შე ბრიყვო, მარცხ არ მაგივიდას! — შემომესმა ხორიელელთ გიორგის მკაცრი ხმა, რომელიც ცხენთ უფროსი იყო.

ჩემს მარცხს კი სულ ცოტა დააკლდა, სულ ცოტა, რომ სახვევთან გამოშვერილმა კლდემ მარჯვენა ფეხი არ წამაგლიჯა...

მე და ჩემმა სალარმა ერთმანეთს კარგად ჩავაბარეთ გამოცდა.

დოღში მესამე მივედი.

სახლში მეორე დღეს დავბრუნდი. მამაჩემს ვუთხარი, რომ დოღში ვიყავი ჩემი წითლათი და მესამე მივედი-მეთქი. მამაჩემმა არ დაიჯერა, უფრო კი გაუკვირდა, — ვინ წაგლალა ცხენში და ან მესამე როგორ მიხვედიო. აი, ასე და ასე-მეთქი, — ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი და ნადოლვავი ვერცხლიანი ქამარ-ხანჯალი ვაჩვენე. ამას მოკლე ხანში ისიც დაერთო, რომ კოტორელთ ბაჭყია წისქვილჭალაში შეხვდა მამაჩემს და ჩემი თავი უქო. ბაჭყია ასე შეიძლება იმიტომაც მოიქცა, რომ ჩემი სახლიდან გაქცევის ამბავი კარგად იცოდა და გული გაუკეთა მოთემეს. არადა, რაც მის თვალწინ მოვიმოქმედე, არ იყო მამცდარის ნამოქმედარი.

წინა კვირას ლუდის მთიბელი შაყარა კოტორელთ ბაჭყიამ. გარდა ჩვენი თემ-წყლის რჩეული ვაჟებისა, მთიბელში სხვა თემ-წყლიდანაც იყვნენ მოპატიჟებულნი. მთიბელ-მამკალი შრომის ერთგვარი ზეიმია და ყველა სიხარულით მონაწილეობს, ოღონდაც აწიონ. ამიტომ ბაჭყიას კარგა ბევრი მთიბელი მოუგროვდა. მეც მოხალისედ წავედი ბაჭყიას თიბელში, შარშან მამის ნაყიდი ცელით. კარგად მჭრელი ცელი უნჯად ითვლება და ისევე სახელგანთქმულია ჩვენში, როგორც კარგი ცხენი და მხედარი. ასეთი ცელის ხელში ჩასაგდებად ფასს არავინა ზოგავს. არც ჩემი რვა ნომერი გამოდგა ურიგო.

საქუხარათ ბოლოზე დავახვიეთ ფიცართ.

სადილის შემდეგ, ლუდითა და არაყით შეზარხოშებული მთიბლები ერთმანეთს გაეჯიბრნენ. გაისმა მთიბლური შემოძახილი, კაფიები, საღვედრავი ლექსები; დადგა ცელების წივილი მზისპირის ქუჩიანებში.

ცელი მეც კარგად გამოვწკიპე, ამოვლესე და ბაზურაულთ აკიას ჩავუდექი ნამხრევში; მივყევი მთიბელს, მომყვა მთიბელი. ჩემი ნამხრევიდან გამოგდება ჯერ გოგოთურათ აკიამ მოიწადინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა; მერე ქალიკათ გიგიას წინ მოვხვდი, და იმანაც ვერაფერი დამაკლო.

ვიცი მთიბლების წესი, — არავინ არაფერს არ დაგითმობს, შეღავათს არავინ გაგიწევს დიდი ხარ თუ პატარა, გიჭრის თუ არ გიჭრის ცელი და მკლავი. მოხვედი მთიბელში? თიბე! არ შეგიძლია სხვათასწორობა? გამოდი ნამხრევიდან! ნამხრევიდან გამოსვლა კი თავის მოჭრაა მთიბელისთვის, შემდეგში შეიძლება აღარც ვინმემ გაწიოს ამ ზეიმზე. ამიტომ ხავიწით ძვალგამაგრებული ვაჟი უნდა თიბავს!

ერთხელ გავიტანეთ ნამხრევი ბოლოს, მეორედ, მესამედ. რომ არავის დავაბრიყვებინე თავი, ყველამ მოსაქცია ყურადღება, ჩვენი თემ-წყლისამაცა და სხვაკნურმაც, ყველამ შემაქო და მაღიარა მომავალ კარგ მთიბელად. მთიბელთ სადღეგრძელოში მახსენეს, როგორც მომავალი კარგი ვაჟკაცი, თემ-სოფლისთვის გამოსადეგი ვაჟი. შეიძლება აქაც ზედმეტად მომეფერნენ უფროსები, რადგან მთიბლებში ყველაზე უმცროსი ვიყავი და წლოვანებასთან შედარებით ცელიცა და მკლავ-მუხლიც კარგად ვიხმარე.

მე დრომ არ მაცალა ხევსურეთში კაი ვაჟობა. მამა-



ჩემს კი გული მოუბრუნდა ჩემზე და, მგონი, დაიჯერა კიდევაც, რომ არა ვარ მამცდარი.

იმ ზაფხულს შევაღე პირველად დედა-თბილისის კარები, პირველად ვნახე ერთად ამდენი ხალხი და ნაირნაირი მანქანები. ყველაზე დიდ ხანს იმ გზობას ვიჯექი მანქანაში და ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა.

ქალაქში ბავშვთა თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდებაო, გვითხრეს ადრევე მე და ჩაჩაურთ ბეწიკუას, ხმლისა და ფარის ჩვენებური ლამაზი და რაინდული ხმარების ხელოვნება ქალაქელებს თქვენ უნდა აჩვენოთო, და მთელი წლის განმავლობაში გვამზადებდნენ ამ საქმის კარგი მცოდნე ხევსურები.

ჩაჩაურთ ბეწიკუა ჩემზე ცოტა დიდიც იყო და კარგადაც იცოდა ცეკვა, ამიტომ მეც მასწავლიდა. ის ცეკვის რომელიმე ილეთს მიჩვენებდა, უნდა მესწავლა და შემესრულებინა. თუ შემეშლებოდა, ქოთი გამოწერილი მქონდა; ამის გამო ზოგჯერ კინაღამ შუღლადაც გვიხდებოდა, მაგრამ ჩაჩაურთ ბეწიკუა კარგი ბიჭი იყო და ცეკვას მაინც მასწავლიდა.

სასწავლო წლის ბოლოსთვის ნამდვილი მოფარიკავეები დავდექით. თვითონ ხევსურებსაც მოსწონდათ ჩვენი ფიცხი ცეკვა-ფარიკაობა და ხშირად სიამოვნებით უყურებდნენ.

ჯერ რაიონში ჩავედით. იქ ორი კვირის განმავლობაში, დილითა თუ საღამოთი, მუსიკაზე თუ უმუსიკოდ, ქანცი გვეცლებოდა.

ორი კვირის თავზე წავედით თბილისში. სად ვიყავით, სად ვიარეთ, ბევრი არაფერი მახსოვს, ქალებს დავყავდი, რომ არსად დავკარგულიყავი. აი, სცენაზე რომ გამოვედით, ის კი კარგად მახსოვს.

დოლმა და გარმონმა ქართული საცეკვაო რომ დასცხო, გულმა ბაგაბუგი დამიწყო, კულისებში, ფარდებს შორის, ხელით ვეჭირე ჩვენს მასწავლებელს. სცენაზე გავარდნის წუთი რომ დადგა, — აბა, ახლა შენ იციო!— ჩამძახა და სცენისაკენ მიბიძგა. გაფრენილი, სცენის შუაში დავეშვი მუხლით. ჩაჩაურთ ბეწიკუამაც ასევე გააკეთა მოპირდაპირე მხრიდან.

იქით დოლი და გარმონი გაფიცხდა, აქეთ — ჩვენა და ჩვენი ფარ-ხმლები, სულ ნაპერწკლებით აივსო იქაურობა.

როცა მჭექალამ ჩვენს შორის მანდილი ჩააგდო და გავშეშდით, მაშინღა მივხვდი, რომ დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო, რაც იმავე წუთში დაირღვა და ისეთი ტაშისცემა და გრიალი ატყდა, რომ ხელახლა მოვიმარჯვე ხმალი, — რა ხდება-მეთქი!

არა და არ ცხრებოდა ტაში, — ჩვენი ცეკვა-ფარიკაობის გამეორებას ითხოვდნენ, მაგრამ ხელმძღვანელმა არ გაგვიშვა, — ბავშვები დაიღალნენ და, რომ გავიდნენ, ისეთი შთამბეჭდავი აღარ იქნებაო.

ოლიმპიადაზე გავიმარჯვეთ. ამ გამარჯვებისათვის სიგელები მოგვცეს და კარგა ბლომად წიგნები — სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურა.

იმ წელს გავხდი კომკავშირელიც.

იმხანად ჯერ კიდევ ჭირდა ჩვენში მოსწავლეების მიყვანა სკოლაში. არაფრად ეპიტნავებოდათ ხევსურებს „ქაღალდისად ჩახედვნაი". სკოლაში სიარული უხეიროთა საქმე არისო, იტყოდნენ და თავიანთ პირმშოთ იქაური ცხოვრების პირობებთან საბრძოლველად ამზადებდნენ. მაგრამ ჩვენს დირექტორს არც ერთ სოფელში არ გამორჩებოდა სასკოლო ასაკის ბალღი. აგვისტოს ბოლოს თვითონ შემოივლიდა ხევსურთა სოფლებს და გუდააკიდებულ პატარა მთიელებს სკოლაში მოღლალავდა.

დირექტორი სხვა დროსაც ხშირად მოინახულებდა ხოლმე ხევსურებს. ჭირშიაც მათთან იყო და ლხინშიაც, ყოველთვის მხარში edგა ხევსურ ძმობილებს, მათაც უფრო და უფრო მოსწონდათ „ფიცხი და მართალი იმერელი", ოღონდ შვილწართმეულები წამოიბღვირებოდნენ ხანდახან, აგმინდებოდნენ, აშქუნდებოდნენ, კბილებს გააკრაჭუნებდნენ და ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

ერთხელ ერთი თავმომწონე ხევსური აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა სკოლის წინ და თავის წერა-მწერელს შესჩიოდა: — რა ყოფილა ე დირექტორი! შვილიც გამამართვა და კიდევაც დამყვირის! რა დრო მავიდ, არა ვის რა გიკვირსთა! — ტოშიკაობდა დირექტორის შეხუ-

რებული ხევსური, რომელიც სკოლაში არ უშვებდა თავის შვილს.

ამ დღიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მერი მასწავლებელმა, დირექტორის მეუღლემ, ერთი ბიჭი „დაიჭირა". რვა-ცხრა წლის ხევსური მწყემსი თევზაობას გაეტაცებინა, რამდენიმე კალმახი კიდეც ამოეყვანა არაგვიდან თვითნაკეთი ანკესით და უკან ბრუნდებოდა. სკოლის წინ რომ გაიარა, მერი მასწავლებელმა შენიშნა და გამოესაუბრა, კანფეტებით დაასაჩუქრა და დირექტორთან მიიყვანა, —ეს ბავშვი იმ კაცის შვილი ყოფილა, იმ დღეს რომ გეჩხუბებოდა, შვილს რად მეკიდებიო. შეხედე, რა კარგი ბავშვია და როგორ არ უნდა მამამისს, რომ მისმა შვილებმა ისწავლონ! — სინანულით ამბობდა მერი მასწავლებელი.

ჩვენი დირექტორი უშვილო კაცი იყო და ერთ ხანობას ხევსურებს ეგონათ, რომ მათი შვილები თავისთვის მიჰყავდა.

დირექტორმა უჩუმრად აათვალიერ-ჩაათვალიერა ბავშვი, ასანთის რამდენიმე კოლოფი მისცა და გაუშვა. გულში კი მტკიცედ გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ შეხვედა ბავშვის მამას.

სამწყესურიდან მისულმა ბიჭმა დაწვრილებით უამბო მშობლებს, რაც გადახდა იმ დღეს. თავზარი დაეცა მამას. რამდენჯერ დაუმალა შუათანა შვილი დირექტორს და ეს კი თავის ფეხით მიჩერჩეტებულა. ახლა მასაც წაიყვანს და რა ესმის მის სამეკვამუროს, ვინღა იქნება მისი შამნახავ-დამმარხავი!

დირექტორს რკინის დისციპლინა აქვს დამყარებული ინტერნატში. ძალიან მკაცრად გვწურთნის, პირდაპირ ცეცხლში გვატარებს. ის ჩვენგან მოითხოვს სიმართლეს, პატიოსნებას, სინდის-ნამუსსა და პირდაპირობას. კაი ყმებად გვზრდის და, ვინ იცის, ვინ რა გამოვა. ვნახოთ!



მიუხედავად სიმკაცრისა, ის შეგირდების მიმართ ზოგჯერ დამთმობიც იყო და ლმობიერიც. ერთი ასტამივით გასაღები ედო ჯიბეში მუდმივად, არ ვიცი — სეიფისა, არ ვიცი — დიდი რამ კარადისა. რამეს რომ დავაშავებდით და დირექტორის ჯიბეში ის გასაღები აჩხრიალდებოდა, ვიცოდით, რომ კარგად არ იყო საქმე, იმ გასაღებს ვერ გადავურჩებოდით. ვისაც ის გასაღები მოხვედრია, არასოდეს დავიწყნია. მეც კარგად მახსოვს, ერთხელ კი არა, ბევრჯერ მახსოვს ის ჯადოსნური, გრძელკაუჭიანი გასაღები...

აი, ამგვარად ნაწურთნმა ბიჭებმა მოვიყარეთ წლევანდელ ახალ წელს თავი და დირექტორს ვეწვიეთ აქ, თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩაზე. მერი მასწავლებელმა კარგი სუფრა გაგვიშალა და დიდხანს ვესიყვარულეთ ერთმანეთს. გავიხსენეთ წარსული, დირექტორს „შარიც" მოვუდეთ მოწაფეობისდროინდელი ამბებისათვის, მაგრამ ჩვენმა მოძღვარმა თქვა, — შეიძლება ვაჭარბებდი, ზედმეტად მკაცრი ვიყავი, მაგრამ იმ დროსა და პირობებში იმ მოსწავლეებისათვის ისე იყო საჭირო.

მაშინ დავთქვით, რომ ყოველ წელს, ორ იანვარს, დირექტორთან შევხვდებით ერთმანეთს, აქ, თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებებით გული რომ ვიჯერეთ, დირექტორმა წიგნის თაროდან ჩვენი ინსტიტუტის მიერ იმ წელს გამოცემული ალმანახი გადმოიღო და ჩემი ლექსების კითხვა დაიწყო. რომ დაამთავრა, კარგიაო, მითხრა და რამდენიმე საყურადღებო შენიშვნაც მომცა, მოგვიანებით კი ინსტიტუტში წერილი მომწერა, გულშემატკივრის სიტყვა მითხრა და სწორი გზა მიჩვენა.

დირექტორი მწერდა: კარგია, რომ შენი ლიტერატურული ნიჭი გაზრდილა, დავაჟკაცებულა. ღმერთმა ქნას, რომ ეს კარგი დასაწყისი წარმატებით განვითარდეს და დიდებულ ქართულ პოეზიაში შენი სიტყვა თქვა. მაგრამ ემსახურო ქართულ პოეზიას, ადვილი საქმე როდია! ცხოვრებაში გამარჯვებისათვის და ამქვეყნად ადგილის დამკვიდრებისათვის ჭეშმარიტად კოლოსალური შრომაა საჭირო. მოიგონე, როგორ ტიტანურ შრომას ეწეოდნენ ჩვენი ლიტერატურის გოლიათები, როგორი უნივერსალური განათლება ჰქონდათ ქართული სიტყვის დიდოსტატებს!

„ათას ღამეზე მეტია ვზივარ, მოგითხრობ განთიადიდან განთიადამდე და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები", — წერს კონსტანტინე გამსახურდია „მთვარის მოტაცების" მეორე ნაწილის ლირიკულ ინტერმეცოში. ათასზე მეტი ღამეო! — ჭეშმარიტად ბუმბერაზული შრომაა, ნამდვილად გმირობა და რაინდობაა!

აი, ასეთი გოლიათური შრომით შეიქმნა ქართული ლიტერატურის უკვდავი ძეგლები.

პოეზია თვით სიცოცხლეა, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაციაო, — გვასწავლის ილია.

პოეზიას უნდა მისცე ყოველივე — სული, ხორცი, გული, სისხლი.

პოეზიას უნდა ემსახურო ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა გრძნობითა, ყოვლითა გონებითა შენითა!

პოეზიისათვის თავდადება კარგად აქვს გამოთქმული პაოლო იაშვილს ერთ-ერთ უმშვენიერეს ლექსში, რომელსაც „პოეზია" ჰქვია. თუ არ იცნობ ამ ლექსს, უსათუოდ იშოვე და წაიკითხე.

არანაკლებ ესთეტიკური ძალითა აქვს გამოხატული ეს მომენტი ტიციან ტაბიძეს. ერთგან იგი ამბობს:

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ამ ლექსს სიცოცხლე ჩემი თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

ეს ლექსი პირველად რომ წავიკითხე, არ ვიცი, რატომ და, ძლიერ შემეშინდა... თვალწინ წარმომიდგა ცოცხლად დამარხული ტიციანი, ყვავ-ყორნებისაგან დაძიძგნილი პაოლო და უკიდურესად შევწუხდი... ასეთია ჭეშმარიტი პოეზიის ძალა!

მინდა ზოგიერთი რამ კიდევ მოგაგონო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# სპორტული მოდელიზმი



გაბრიელ ბარჯაძე

სპორტულ მოდელიზმს ნორჩების სპორტსაც უწოდებენ. სამხედრო-გამოყენებითი სპორტის ტექნიკური სახეობები — ავტომოდელიზმი, ავიამოდელიზმი და გემთმოდელიზმი, ანუ ე. წ. „დოსააფის სპორტი" ძალზე პოპულარულია მოსწავლე ახალგაზრდებს შორის, თუმცა გულგრილი არც უფროსი ასაკის სპორტსმენები არიან. მიწაზე, წყალზე და ჰაერში — აი, ამ სტიქიაში ტარდება

ავტომობილისა და გემის მოდელები სტარტის წინ





დღეს მოდელები აიჭრებიან ცაში... მომავალში კი, ვინ იცის, იქნებ ეს ყმაწვილები ავიაკონსტრუქტორებად მოგვევლინონ.



მიმდინარეობს რადიომართვითი ავტომანქანების სტარტისწინა შემოწმება. ძლივს იოკებენ მღელვარებას ავტორები.

ხოლმე სპორტულ მოდელისტთა პაექრობანი.

მოდელის აგება და კონსტრუქციის შექმნა დიდ ოსტატობას მოითხოვს. ფანტაზიის უნარი და მარჯვე ხელებია საჭირო, რომ მოდელისტი გახდე.

სპორტული მოდელიზმის სახეობებში ეწყობა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები, საკონტინენტო თუ მსოფლიო ჩემპიონატები. ბევრი ნორჩი მოდელისტი შემდეგ კარგი კონსტრუქტორი და გამომგონებელი ხდება. ასე რომ, მოდელიზმი მოზარდს სპორტულ ჩვევებთან ერთად მეცნიერებისა და ტექნიკის საიდუმლოებებსაც ასწავლის. ამიტომ უწოდებენ მათ გამოყენებით სახეობებს.

**ავტომოდელიზმი.** მოდელი იქმნება თანამედროვე ავტომანქანების ტიპის მიხედვით. იცვლება ან უმჯობესდება მანქანების მონაცემები, იცვლება მოდელების კონსტრუქციებიც. არსებობს სხვადასხვა სახის მოდელები: შიგაწვისძრავიანი, რეზინისძრავიანი, ელექტროძრავიანი და რადიოსამართავი მოდელები.

1955 წლის ბოლოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ავტომოდელიზმის ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც ამ სახეობის ტექნიკური, მეთოდური და პროპაგანდისტული ცენტრი გახდა. ორი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ოთხ ქალაქში — მოსკოვში, ლენინგრადში, რიგასა და ხარკოვში ჩატარდა პირველი შეჯიბრება ავტომოდელიზმში. მასში 30 მონაწილე გამოდიოდა.

1960 წელს შეიქმნა სსრ კავშირის ავტომოდელიზმის ფედერაცია. საქმე სწრაფად წავიდა წინ. თუ 1957 წელს მოდელის სიჩქარე საათში 78,1 კილომეტრს უდრიდა, დღეს ეს ციფრი 300-ს უახლოვდება. თვით მოდელი 2-3 კილოგრამს იწონის.

შეჯიბრებები მოასფალტებულ კორტოდრომებზე (ტრეკზე) ტარდება. კორტოდრომზე — ავტომოდელიზმი, სტადიონზე — ეწყობა

ადამიანისა და ტექნიკის დუელი. ცენტრალურ ღერძზე ფოლადის მავთულით გამობმული მორბენალი მოდელები უდიდეს სისწრაფეს ავითარებენ.

თბილისში ცხოვრობს ორი საუკეთესო ავტომოდელისტი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — პაატა შარიფაშვილი და დავით ჩხაიძე. მათ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ლატარია ავარჯიშებს. მაგრამ მარტო ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ავტომოდელიზმი სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც უნდა დაინერგოს, რომ მომავალში აღარ ვიყოთ მხოლოდ ორი სპორტსმენის იმედით.

**ავიამოდელიზმი.** ზოგიერთები ამას პატარების სათამაშოდ მიიჩნევენ, მაგრამ ნებისმიერი სპორტული მოდელი სათამაშოსაგან შორს არის.

რუსული ავიაციის მამამ ნ. ჟუკოვსკიმ 1910 წელს მოსკოვში პირველმა მოაწყო ავიამოდელისტთა შეჯიბრება. 1920 წლიდან ავიამოდელისტთა შეჯიბრებებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. ავიამოდელისტთა საერთაშორისო ფედერაცია (ფაი) აწყობს საერთაშორისო შეჯიბრებებს, სწავლობს პლანეტის ავიამოდელისტთა მიღწევებს. საბჭოთა ავიამოდელისტებმა 1938 წელს პირველი შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ამის შემდეგ ისინი სისტემატურად იმარჯვებენ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში.

ჩვენში ავიამოდელისტთა შეჯიბრებები 10 კლასის მოდელებს შორის ტარდება. მოდელების მაქსიმალური წონა ხუთი კილოგრამია. ეს მომცრო მოდელები ურთულეს ელემენტებს ასრულებენ ცის ლაჟვარდში, მოდელისტთა კარნახით უსწრაფესი მალაყებითა და პილოტირებით ხიბლავენ ავიამოდელიზმის მოყვარულებს.

**გემთმოდელიზმი.** იგი „გემობანას“ წააგავს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. „გემის კაპიტანი“ ამ შემთხვევაში ნაპირზეა, „გემი“ კი მარტოკა მიაპობს წყლის ზედაპირს. გემთმოდელიზმში შეჯიბრებები ძირითადად წყნარი ტბების ზედაპირზე ტარდება. მოდელი ძალზე რთული კონსტრუქციისაა და მის შექმნას დიდი შრომისმოყვარეობა ესაჭიროება. გავრცელებულია 36 კლასის გემის მოდელები, მათი ჩემპიონატები ცალ-ცალკე ტარდება. ვინც გემთმოდელიზმს ეზიარება, ის შეჯიბრების სტარტამდე კარგა ხნით ადრე იწყებს სამზადისს: ჯერ ნახაზებზე მუშაობს, პროექტს ამზადებს. ხვეწავს. აქ საჭიროა ფიზიკის კანონების, მათემატიკის საფუძვლიანი ცოდნა. კეთდება ათეულობით გაანგარიშება და ესკიზები. ზოგჯერ ერთი მოდელის აგებას მოდელისტები მთელ წელს ანდომებენ.

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის გემთმოდელისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია ჩვენი თანამემამულე, სპორტის დამსახურებული ოსტატი კოტე პაჭკორია (იგი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს). თბილისში დოსააფის საზღვაო სკოლაში მწვრთნელად მუშაობს კონსტანტინე პაჭკორიას აღზრდილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ვლადიმერ გავა.

არსებობს სპორტული მოდელიზმის კიდევ ერთი სახეობა — **რაკეტამოდელიზმი.** ჩვენს საუკუნეში რაკეტამოდელიზმის, როგორც სპორტის სახეობის შექმნა, კოსმონავტიკის გრანდიოზულმა განვითარებამ გამოიწვია. ეს სახეობა თანდათანობით ვრცელდება მოსწავლე ახალგაზრდებს შორის, მას გატაცებით მისდევენ თბილისელი ნორჩი ტექნიკოსებიც. მათი გულმოდგინება გვაფიქრებინებს, რომ წარმატებები არ დაახანებენ, ოღონდ მეტი მასობრიობაა საჭირო.



გიორგი გიგაური

მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი

# დაბრუნება

1

დილა ჭიუხზე აენთო,
ცა არწივებმა მოხატეს,
მხარგაშლით შემხვდა არხოტი —
ჩემი სამშეო, სახატე.

მთა, ნააკვნარი მამისა,
მეფერება და მიღიმის
და იავნანად ჩამესმის
ასას ტალღების ღიღინი.

შუშპრობენ ციხე-კოშკები,
გალაღებულა ბუნება,
ბებერი მიწა ზეიმობს
ხევსურთა შემობრუნებას.

კერაზე ცეცხლი ღვივდება,
ბოლი ბოლქვებად ავარდა,
წამოიქოჩრნენ ნისლები,
ჭიმღის კლდე იქცა ნავადა...

ხასხასა დილას მთებისას
შეხარის ზეცის თავანიც,
გაუკვალიათ ვაჟკაცებს
არხოტის გადასავალი.

ბებერი ფუძე გმირების
ლაღობს არწივის ფრთებითა,
თოვლიან სერებს გავყურებ
და ბარს ვიგონებ მთებიდან.

2

მზრდიდა სამგორის ნიავი,
გულუხვი მიწა სამგორის,
არადროს დამავიწყდება
მისი მხურვალე ამბორი.



ვტკეპნიდი შიშველ ფეხებით
ტრამალზე გაჭრილ გზაშარას,
მახსოვს, ხეხილმა ხრიოკზე
მხარ-ბეჭი როგორ გაშალა;

როგორ მომრავლდა ალვები
ლოჭინის გარეშემოსა,
ქარების საასპარეზო
სამყურამ როგორ შემოსა.

ან მოხრუკული მიდამო
ვაზებით როგორ მოხატეს,
როგორ ამღერდნენ პაპები,
ქვევრს რომ პირველად მოხადეს...

ხევსური გახდა მეღვინე
და ჭაშნაგირი ნამდვილი,
ყურძენს კრეფდა და წურავდა
გულდინჯად,
გულისწადილით;
ბაღსაც უვლიდა, ვენახსაც
სხლავდა,
წამლავდა,
ფურჩნიდა;
— ვისწავლე,
ცოდნა საქმისა
ვის დაჰყვა დედის მუცლიდან, —

იტყოდა სულით ამაყი,
ეფერებოდა ხეივანს,
ქარსაც უძლებდა, ხორშაკსაც,
უკან არ დაუხევია...

მეც მის ნაკვალევს გავყევი,
მეც მისი შუქით ვიზარდე,
მიზანიც მქონდა, ვცდილობდი
მივსულიყავი მიზნამდე.

წიგნებითა თუ ბჲრ-თოხით
მივდევდი სკოლის გზაშარას...
და მახსოვს, მამამ ერთ დილით
ბუდე რა უცებ აშალა.

რა უცებ დაემშვიდობა
ზვრებს, მორწყულს ცხელი ოფლითა,
და ნასოფლარში მოვიდა
სამგორის ლამაზ სოფლიდან.

სცოდნია ყივილს მიწისას:
შეგძრავს,
შეგიცვლის გუნებას, —
მამამაც ვერ აიტანა
საჯიხვის შორით ყურება.

3

აჰა, არხოტში სახლს ვაგებთ,
იშმუშნებიან ყორენი,
რაც მამას უყვარს, იმასვე
ვეთაყვან-ვეამბორები.

მხვნელიც ვიქნები, მხედარიც,
მწყემსიც ვიქნები ფარების,
გვერდში იმედად მიდგანან
ძმები საცერა თვალებით.

შორი არ არის მიზნამდე,
თუ მოვინდომებ გულითა, —
მთა წიგნებითაც მიწამებს,
წკრიალა სალამურითაც.



# ლედი ჯეინის საჩუქარი

როდამ ჩაჩანიძე

მხატვარი რ. ცუცქირიძე

მოთხრობა

ფერნანდომ დააგვიანა. ნადირობის ნებართვა უნდა ჩამოეტანა მომბასადან. არა და არ იქნა, საშველი არ დაადგა ამ გამხდარი, აყლაყუდა ტიპის გამოცხადებას სავანაში.

ჯერ იყო და, ვოისთან ახლოს, ერთ პატარა სოფელში კამბას ტომის მოხუცთან ვიყავი შეკედლებული. ის დალოცვილი ძლივს დალასლასებდა, მაგრამ სისხამზე რომ გალესავდა ენას, შუაღამემდე მისი გაჩერება არ იყო. მომბასა-ვოის რკინიგზაც სულ ახლოს გადიოდა, ჩემგან ჩრდილოეთით. ხალხით გაძეძგილი ექსპრესი რომ გაიგრიალებდა, ვაგონების რიტმული დგანდგარი ჩემს საცოდავ ხუხულას აკვანივით არწევდა. ასე მეგონა, წამიც და ყველაფერი თავზე დამემხობოდა. რკინიგზის მხრიდან სუსტ ნიავს ჩემკენ ხმელი ჩალის მსუყე სურნელი მოჰქონდა. ერთი-ორჯერ გავბედე და ცოტა გავისეირნე კიდეც. ახლომახლო ტყის ჭაჭანებაც არ იყო. კიკუის თუ კამბას ემარჯვა და რახანია გაეჩეხა კიდეც. ზოგჯერ მასაელები კიდეც ამბობდნენ: რაც კაცმა ასანთი გამოიგონა, ჩვენმა ტყემაც ფეხი აიდგა და მთელს ევროპას მოედო, ცეცხლიც გვარიანი დაანთოო.

ასე იყო თუ ისე, მომბასა-ვოის რკინიგზის მთელ გაყოლებას ახლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრინჯის, ბატატის და მანიოკის ნათესები გასდევდა. შიგადაშიგ სიმინდის ყანებიც ერია, უკვე დამწიფებულ-დავარგებული. ზოგან აეჩეხათ კიდეც, ტარო ცალკე ეყარა, ჩალა ცალკე...

ოთხი დღე ფეხს ვითრევდი. მერე ვიფიქრე: აყლაყუდა ფერნანდომ შეიძლება ფეხი დაჰკრა და პირდაპირ სავანაში გაჩენდა-მეთქი. მისი ხუშტურების ამბავი რომ ვიცოდი, მაინცდამაინც დიდი იმედი არ მქონდა, რომ რასმე ჭკვიანურს მოიფიქრებდა. ბარგი-ბარხანა შევკარი და ერთი მხიარული მასაით „ფორდით“ ჯუნგლებისაკენ გავწიე. მანქანას „ფორდი“ ისე ერქვა სახელად, თორემ ამ უფორმო, მინგრეულ-მონგრეული ყუთის შექმნაში სულ ცოტა ათ საავტომობილო ფირმას მაინც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

ნახევარდღიანი ლაყლაყის შემდეგ, როგორც იყო, სავანაში მივხრიგინდი. გვერდები ისე მქონდა დაჟეჟილ-დალილავებული, ვერც კი ვიფიქრებდი, ნადირობას თუღა შევძლებდი როდისმე.

ფერნანდო არც აქ დამხვდა. ჩემმა მასპინძელმა, აქაურმა ინსპექტორმა, გვარიანად ჩაკურატებულმა ორმოც წელს გადაცილებულმა მასაიმ, ტაგომ დამამშვიდა, ორ-სამ დღეში უეჭველად მოვათ. ორი ინგლისელი უნდა მოიყვანოსო.

ხუთად ხუთი სახლი იდგა. ოთხი — მასაის ყაიდაზე გამართული სელის ქოხი გახლდათ, მაღალი, ბოლოში მოწვრილებული სახურავით, რომლის კენწეროზეც გამხმარი სელის ფოჩები ჩალისფერი ალმებივით ფრიალებდა.

ერთიც ხის ბუნგალო იყო. ტროპიკულ სიცხეს გაურანდავი ფიცრები ისე მიეგრიხ-მოეგრიხა, ფანჯრები აღარც კი იყო საჭირო. თუმცა ორ ოთახად გადატიხრულ ამ ნაგებობას უმინო-უჩარჩოო ორი სარკმელი მაინც ჰქონდა დატანებული, და კიდევ ორი—ვიწრო კედელჭრილი, კარის მოვალეობას რომ ასრულებდნენ.

ოთახში ხვართქლას საამო სუნი იდგა. მაგრად დატკეპნილ ნაცრისფერ სოხანეზე ზურგჩანთა რომ დავდევი, ტაგომ მითხრა, აქედან ერთ მილზე კარგი ბარია, მაგრამ, თუ არ იმარჯვე, საღამოობით იქ დასადგომ ადგილსაც ვერ იშოვიო.



ძალიან გაუკვირდა, ყურიც რომ არ გავაპარტყუნე. ანდა რა მებარებოდა, ფერდები და გულმკერდი მტკიოდა, ფეხზე ძლივს ვიდექი.

მივხვდი, აქ არაფრით არ იყო უკეთესი, ვიდრე იქ, მომბასა-ვოის რკინიგზის ახლოს, ერთ კამბასთან რომ ვცხოვრობდი. მხოლოდ მანიოკისა და ბატატის ყანები აღარ ჩანდა. სამაგიეროდ, ხმელი, მოსათიბად გამზადებული ბალახი მუხლისთავებამდე მწვდებოდა. ბუნგალოს ირგვლივ კი ლურჯი, წითელი, ყვითელი და სხვა მრავალი ფერის ხვართქლა ყვაოდა.

აქეთ რომ მოვდიოდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, საცაა ჯუნგლების მეფის მშვენიერ პრაიდს დავინახავ-მეთქი. ხმელ ბალახში წევს ამაყი ხელმწიფე — ხვადი ლომი... ბალახში გარეული ხვართქლას ზემოთ მხოლოდ მისი თავი და ზურგი ჩანს. ცოტა მოშორებით დედოფალი, ძუ ლომი, თვლემს. პატარა უფლისწულები მუცელზე ტკიპებივით მიჰკვრიან. იქით სპილოები მძიმედ დააბოტებენ. ჟირაფი, სირაქლემა, ანტილოპა, ჭუჭყიანი აფთარი — მუდამ მძორის მძაფრი სუნი რომ ასდის, და კიდევ ჯუნგლის ათასი მკვიდრია.

ყოველივე ეს მხოლოდ ილუზია იყო, თავის მოტყუება და მეტი არაფერი. ირგვლივ მარტო უკიდეგანო ბალახნარი ჩანდა, პამპასებს რომ ეძახიან სამხრეთ ამერიკაში.

მხოლოდ ღამით აღწევდა ჩემამდე სანადიროდ გამოსული ლომების ბრდღვინვა. როგორც ტაგომ მითხრა, აქედან ხუთი მილის დაშორებით იწყებოდა ჯუნგლები. დასავლეთით და სამხრეთით, ტანზანიის მხარეს, მეც ვხედავდი რაღაც მაღალ ლურჯ ფონს, ყალყზე შემდგარ ტალღასავით რომ გაჰკვროდა მოკრიალებულ ცას.

ერთხანს უთენია ვდგებოდი. გავდიოდი ბალახნარში გაჭრილ განიერ ბილიკზე და მონდომებით დავძუნძულებდი. კარგა ხანია ამ საქმეს

მივდევ და სარგებელსაც ნათლად ვგრძნობ. ამიტომაც მტკიცედ გადავწყვიტე, სადაც არ უნდა ვიყო და რა დღეშიც არ უნდა ვიყო, დილით ვირბინო. მაგრამ ერთხელ ისეთი ამბავი შემემთხვა, იმ ბილიკს მეტი აღარც გავკარებივარ. ჩემს ადგილზე ანდა სხვა რომელი ჭკუათამყოფელი დადებდა ბედისწერის სასწორზე თავის წილხვედრ სიცოცხლეს.

იმ დღესაც სისხამზე გაშეღვიძა. ბუნგალოდან გამოვძვერი და ბილიკზე გავედი. ადგილი მოზომილი მქონდა. ბუნგალოდან სულ უკანასკნელ ქოხამდე მივრბოდი ხოლმე. იმ ქოხის წინ ორი პალმა იდგა და ერთიც კიდევ მაგნოლიის ხე, რომელსაც მომბასადან რაღაც სასწაულით აქამდე მოეღწია.

ჰოდა, ეს განიერი ბილიკი ორჯერ რომ გავირბინე და მაგნოლიის ხეს მივუახლოვდი, სწორედ ჩემს წინ ხმელ ბალახში უშველებელი კობრა გაშლიგინდა, მერე უცბად შემობრუნდა, მოხატულ-მოზაიკურ მუცელზე შედგა, ღაბაბი გამობერა და შემაზრზენად დაიბუყბუყა. სწორედ რომ სასწაულით გადავრჩი. სულ უკანასკნელ წამებში ვიმარჯვე და გვერდზე გადავხტი.

ის იყო და ის, იმ ბილიკისკენ სისხამზე პირი აღარ მიქნია.

ერთხელ ტაგომ როგორღაც ტანზანიის საზღვრისაკენ წამიყვანა. ცოტა რომ გავიარეთ, ხევს მივადექით. ამ ხევს ჩვენი ეზოდანაც კარგად ვხედავდი. მაგრამ ისეთი ჩაბურულ-ჩახუთული და საეჭვოდ გასუსული ჩანდა, იქით გახედვაც კი მზარავდა. მეტადრე მას შემდეგ, ერთხელ ღამით იქიდან უხვად წამოსული შემაზრზენი ხმები რომ მოვისმინე, და, ცოდვა გატეხილი სჯობს, გვარიანი შიში ვჭამე.

მეორე დღეს ეს რომ ტაგოს ვუამბე, სიცილისაგან ჩაბჟირდა. ისე ხორხოცობდა, ბუნგალოს კედლებიც კი ირწეოდნენ. მერე, ბოლოს და ბოლოს, სული რომ მოითქვა, დაცინვით მითხრა:

— ბვანა, თეთრი კაცის ყურები დახშობილია, ვერა და ვერ მოისმენს, ტყეში თუ რა ამბები ხდება. ჩემი ყურები რომ გებას, სხვა ამბავია. ალბათ შეგეშინდა, რაღაც მოგეჩვენა. ამაღამ კი შიში გაგივლის და გულიანად დაიძინებ.

მხრები ავიჩეჩე და ეზოში ფრთხილად გავედი.

თუმცა ტაგომ დამაიმედა, ამაღამ კარგად დაიძინებო, მაგრამ ის ღამეც გამიტყდა. მივდევი თავი თუ არა, უმალ ის შემაზრზენი, საეჭვო ხმები მომესმა, ჩემი აზრით, ჩაბურულ-ჩახუთული ხევიდან რომ მოდიოდა. ლომების შორეული ბრდღვინვაც აჰყვა. შიგადაშიგ ისეთი კივილ-ჩხივილი და გნიასიც ისმოდა, ეჭვი არცკი შემპარვია, რომ ჩემგან არცთუ ისე შორს ფარსაგი რაღაც ხდებოდა.

დილით სულმა მაინც წამძლია და, ტაგო ჩვეულებრივად მთელი დღით რომ დაიკარგა, ხევისაკენ გავსწიე.

ფრთხილად მივუახლოვდი. ისე ვეპარებოდი მიწის ამ უშველებელ ხახას, თითქოსდა იქ რაიმე მტაცებელი ცხოველი ყოფილიყოს. ხევისპირ ერთი უშველებელი ხე იდგა. ნახევრად იქით იყო გადახრილი და მისი მწვანე, ფართო ფოთლები უჩრდილებდნენ ნაპრალის ერთ კიდეს. გადახრილ ხეზე ფრთხილად შევდექი და გადავიხედე. დავრწმუნდი, რომ ხეობა აშკარად ჰგავდა რომბს. თანაც წახნაგები ისე ზუსტად იყო გამოყვანილი, იფიქრებდით, ამ საქმეში უეჭველად კაცის ხელი ურევიაო.

ციცაბოზე მოყავისფრო-მოყვითალო ფოთლებიან ბუჩქებს მოეკიდებინათ ფეხი. ჯარისკაცებივით მწყობრად გაჰკროდნენ დაცერილ ფერდობებს. ისეთი ფიქრი აგეშლებოდათ, ამ საცოდავებს მთელი ცხოვრება იმის ცდაში გაუტარებიათ, როგორმე ზევით ამოეღწიათო.

მარცხენა მხარეს ათამდე ტანმაღალი ხეც ჩანდა, კენწეროები ხეობის ზევითაც წამოსულიყვნენ და სიოს დაქროლებაზე ხან იქით წვებოდნენ, ხან აქეთ. სწორედ ამ ხეების ფესვებთან ზედახორად ეყარა კონსერვის ნაირფერი ქილები. ზოგს ჟანგი მოსდებოდა, ზოგსაც მიწა წაჰყროდა. ისე, გვარიანი პირამიდაც კი აღმართულიყო, ვინ უწყის რა...

სწორედ ამ დროს დავინახე, თუ როგორ გამოძვრა ხეობის მეორე მხარეს ხმელი, მაღალი ბალახებიდან ჯუნგლების მეფე და ჩემს თვალწინ ხევში ჩაიმლიგინა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ, მგონი... ღმერთო, შეგცოდე, ვიღაცას მიათრევდა... თითქოსდა ადამიანის კიდურებიც კი დავინახე.

აღარ დამიყოვნებია და შინისაკენ მოვკურცხლე. გზადაგზა ალბათ ვყვიროდი კიდეც, რადგანაც ქოხებიდან ხუთიოდე დაფეთებული მასაი გამოვარდა და დამცინავი მზერაც გამომაყოლეს.

ღამით ტაგო რომ მობრუნდა, ყველაფერი ვუამბე. ამჯერად გადავრჩი, ისეთი გიჟური ხორხოცი აღარ აუტეხია, მაგრამ საეჭვოდ კი გამომხედა და თავის ოთახში შევიდა. ოთახში, რასაკვირველია, მეც შევედი, მაგრამ ძაძინება არცკი მიფიქრია, ისე მივდე თავი ბალიშზე თვალის მოსატყუებლად.

დილით, სანამ ცხრა მთას იქით დაიკარგებოდა, ტაგო ვაიძულე, ხევში ჩამყოლოდა. კიდევ სამი მარჯვე მასაიც ვიახლეთ და ყველა ბუჩქი თუ კუნჭული სამლულიანი ვინჩესტერით გადავჩქექეთ. ლომის კვალიც კი ვერ ვიპოვეთ. ორი გამხდარი, შიმშილისაგან გასავათებული აფთრისათვის, თავის ნებით რომ ჩაგვებარდნენ, ლომობის დაბრალება ჩვენის მხრივ ძალიან დიდი უსინდისობა იქნებოდა.

ხევიდან რომ ამოვედით, ტაგო ისევ ჩაბჟირდა.

— აკი გითხარი, ბვანა, თეთრ კაცს ყურები დახშული აქვს, თვალები კიდევ შიშისაგან გაბეცებული. ხან რა ეჩვენება და ხან კიდევ რა.

კრინტი აღარ დამიძრავს.

შუადღის მზე რომ გადავიდა, ხეობას შემოვუარე. ზუსტად იმ ადგილს მივადექი, საიდანაც, ჩემი აზრით, ის ლომი ხევში უნდა ჩაშლი-

გინებულიყო. იქაურობა ბარე ათჯერ მაინც გადავქექე. შენც არ მომიკვდე, ლომის ნაკვალევს ვერა და ვერ მივაგენი.

ფერნანდოს გამოცხადების იმედი რომ გადამეწურა, ტაგომ ორი გირვანქა სტერლინგი ამცანცლა და სავანაში გამატარა.

დილაადრიანად გავედით. პირველად მზისგან გადარუჯულ ყავისფერ ბალახში და ჯაგნარში მივაბიჯებდით. ტაგო წინ, მე — უკან, საპატიო მანძილზე. ხანდახან ხვართქლას სამფლობელოში რომ მოვხვდებოდით, ასე მეგონა, ბუნების მიერ მოქსოვილ-მოგვირისტებულ ჩინებულ ხალიჩაზე მივაბიჯებდით. ყოველ ნაბიჯზე ის ოხერი სათვალიანი გველი მელანდებოდა და ძალიან მიკვირდა, ჩემი მასპინძელი ასე უდარდელად რომ მიდიოდა.

წვიმის სეზონი უკვე მოახლოებული გახლდათ და მაცოცხლებელი წყლის მოლოდინში სავანა დაღლილი კაცივით თვლემდა.

მივდიოდით და მივდიოდით. აფრიკული პამპასი აღარ თავდებოდა. სამაგიეროდ, ის მოლურჯო ზოლი, წინ ოკეანის უშველებელ ტალღასავით რომ ჩანდა, თანდათან მწვანდებოდა და ჩვენკენაც დინჯად მოიწევდა. ბოლოს გათანგულ-გასავათებულნი იმ ტყესაც მივადექით და უმალ სული მოვითქვით. აბა, ის იყო თუ იყო. ისეთი სიგრილე იდგა, თავი სამოთხეში დავიგულე. მერე ხმები, ერთმანეთში არეული მრავალი მუსიკალური მელოდია. კანარის გულყვითელა ჩიტები რომ ტკბილ, სევდიან ჰანგს დაახვევდნენ, კაუჭანისკარტიანი დიდრონი თუთიყუშები მშვენიერ მოძახილს ეუბნებოდნენ. მერე მინდვრისა და ჯუნგლების ბუც შეიცხადებდა. ვერცხლისფერი, გამჭვირვალეფრთებიანი ჭრიჭინებიც გულმოდგინედ მღეროდნენ. ყურთასმენა აღარ იყო.

ტაგომ მეჩხერ ტყეში ერთ მიწაყრილთან მიმიყვანა. მიწაყრილის თავზე ათიოდე მეტრი სიმაღლის ხის კოშკი იდგა. ხის ვიწრო კიბით კოშკზე თავისუფლად რომ ავედი, ტაგოს გაუკვირდა.

— მეზღვაური ხარ?

თავი რომ დავუქნიე, გაიღიმა.

— მივხვდი. სხვებს უჭირთ ამოსვლა.

ჩვენ ახლა ერთიციცქნა ჯიხურში ვიდექით. ზევიდან ხის განიერი საჩრდილობელი ადგა და მოაჯირის ზემოთაც ჭუჭყიანი ბადურა ჰქონდა შემოხვეული, ალბათ იმიტომ, ტაგოს კლიენტი ბუზს რომ არ შეეწუხებინა. აქედან არც ვიქტორიას ტბის მომიჯნავე ჯუნგლები იყო შორს და შეიძლება ცეცესაც მოსურვებოდა გამოსეირნება. ეს მავნე ბუზი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი. ტაგომ დიდი საზღვაო ჭოგრიტი მომაწოდა. ჩემ წინ მთელი სავანა ხელისგულივით გადაიშალა. მეჩხერ ტყეში მზისგან გატრუსული ბალახი ბიბინებდა. ბალახიანი ზოლი გვარიანად გასდევდა სავანას. ეს ზოლი სადაც თავდებოდა, ნამდვილი ჯუნგლიც სწორედ იქიდან იწყებოდა, ცად ატყორცნილი უშველებელი ხეებითა და გველებივით დაკიდებული ლიანებით. სწორედ ამ დიდრონი ხეების წინ დავინახე ანტილოპა გნუს დიდი ჯოგი. ბალახობა მოეთავებინათ და ხეების ჩრდილში თვლემდნენ. მოშორებით ზებრას პატარა რემას შემოეზომა თავისი ადგილი.



შუადღის ხვატში ჯუნგლი საეჭვოდ გასუსულიყო. ტაგოს ჭოგრიტით სულ ახლოს რომ მივედი, ჯუჯა აკაციის ჩრდილში მთვლემარე ძუ ლომიც დავინახე. სწორედ ისე იწვა, როგორც მე მქონდა წარმოდგენილი. ხმელ ბალახში მხოლოდ მისი თავი და ლაპლაპა ზურგი მოჩანდა. ხანდახან ბუზებს თავს რომ ძალიან გაუვიდოდათ, ფოჩიან კუდს ღონივრად მოიქნევდა და მერე ისევ ხმელ ბალახში ჩამალავდა.

გამხდარი ჩანდა. ფერდები ისე შევარდნოდა, ნეკნები ხმლის გრძელი ქარქაშებივით მოუჩანდა. აშკარად ეტყობოდა, რომ უკვე აღარ ნადირობდა და შიმშილობა უწევდა.

ცოტა ხანიც რომ გამოხდა, ძუ ლომთან ახლოს ხმელი ბალახი შეინძრა. იქიდან პატარა ბოკვერის ღინღლით დაფარული დრუნჩი გამოჩნდა. ზედ სამი ხალიც დავითვალე. მერე ნელ-ნელა ნამგალივით მოკაკვული ზურგიც ამოიზნიქა და მის კვალდაკვალ კიდევ — იალქანივით აპრეხილი კუდი.

ბოკვერმა წინა ფეხები გულდაგულ გაჭიმა, გულიანად გაიზმორა. მერე გასწორდა, თავი ასწია. პატარა, სასაცილო ყურები ცქვიტა და დედას მიაშტერდა. ასე იდგა ერთ ხანს. ვხედავდი, მის ნებიერ ტანს როგორი სინაზით ეხებოდნენ და ეალერსებოდნენ ხვართქლას წითელი, ყვითელი და ლურჯი ყვავილები. ჯუნგლების მეფის შვილი კი

ნამდვილი უფლისწულივით იდგა და აპრეხილ კუდს მონდომებით აქიცინებდა.

მერე ნელა, უხმაუროდ დაიძრა, ძუ ლომს მიეახლა და მუცელზე მიეწება. დიდხანს არ ყოფილა ამ განცხრომაში, რადგანაც მის კვალდაკვალ კიდევ სამი ბოკვერიც გამოჩნდა. ოღონდ მათ უფრო ღია ფერის ქათიბი ჰქონდათ და არც ისეთი კოხტა იყვნენ, როგორც ის პირველი.

სამი ნაპატიები ბოკვერი რომ გვერდით ამოუდგა, უფლისწულმა ძუძუს პირი უშვა. ზურგზე გადატრიალდა. ჩინებული მალაყი გამოუვიდა და კმაყოფილი უკანა ფეხებზე ჩაჯდა.

— ბვანა, ლამაზები არიან, არა?— მიჩურჩულა ტაგომ.

— ჰო, ლედი ჯეინიც მშვენიერი არსებაა.

— ლედი ჯეინი ვინღაა? — გაიოცა ტაგომ.

— ძუ ლომი გახლავთ ლედი ჯეინი.

ტაგომ გაიცინა:

— კარგი სახელი დაგირქმევია.

— გრან კანარიაზე, ლას პალმასში გავიცანი ლედი ჯეინი. ეს ძუ ლომიც ისეთივე ზვიადი და ლამაზია.

— მართლა? — ინსპექტორმა ჰოგრიტი ჩამომართვა და ახლა თავად მოირგო თვალებზე. — მშვენიერია, საოცრად მშვენიერი...

სისხამ დილაზე ავდექი. მეშინოდა, ტაგოს არ გაესწრო. ორი გირვანქა სტერლინგი რომ მივაჩეჩე ხელში, მიხვდა, რაც მინდოდა.

— მოგეწონათ ჩემი სათვალთვალო?

— ძალიან. ძუ ლომსა და მის ბოკვრებს მინდა ვუყურო.

ინსპექტორმა მხრები აიჩეჩა და სავანას გზას დაადგა. მეც უკან მივჰყევი.

ჩემი მასპინძელი დღეს რაღაც უგუნებოდ იყო. მთელი გზა ისე გავიარეთ, კრინტი არ დაუძრავს. ხანდახან შეჩერდებოდა, ჰოგრიტს თვალებზე მოირგებდა, უკიდეგანოდ გაშლილ ველს ხან მარცხნივ, ხან კიდევ მარჯვნივ გულმოდგინედ შეათვალიერებდა. მერე ჰოგრიტს ისევ ჩადებდა ტყავის ბუდეში და მიდიოდა.

მიწაყრილთან რომ მივედით, ჰოგრიტი მე მომაჩეჩა.

— სერ, აბრძანდით, მე ცოტას გავივლ-გამოვივლი. სამ საათში მოვალ, — საათს დახედა და წავიდა.

თავი დავუქნიე და სწრაფად ავუყევი ხის ვიწრო ტრაპს.

კოშკში რომ ავედი, ჰოგრიტის ბუდე ფაციფუცით გავხსენი...

ძუ ლომი ისევ ძველ ადგილზე იწვა. მოწყენილი და ქანცგაწყვეტილი თვლემდა. მუცელი ისევ ისე შევარდნილი ჰქონდა. ეტყობოდა, არც წუხელ ენადირა. ერთგული დედის მძიმე მოვალეობას მოეტეხა. ბოკვრები ჩემს მხარეს, ხმელ ბალახში ანცობდნენ. სამი პუტკუნა, პაწია ლომი ერთმანეთს დასდევდა, იღრინებოდნენ, კიჭებს აწაწკუნებდნენ...

მეოთხე, პატარა უფლისწული, უკანა თათებზე მყარად იჯდა და ბალახებში მოთამაშე ბოკვრებს მისჩერებოდა.

ლედი ჯეინი დღეს ცოტა ნერვიული მეჩვენა. დროდადრო ორივე თვალს ერთბაშად გაახელდა, ბოკვრებს გახედავდა და მაგარ ზურგზე კუდსაც ლონივრად გადაიტყლაშუნებდა. ადგომას კი არ აპირებდა. იწვა და თვლემდა.

ორი საათი ისე გავიდა, ამ პატარა



პრაიდისათვის თვალი არ მომიშორებია.

ლედი ჯეინმა უცებ ყურები ცქვიტა, დაფეთებული წამოვარდა და ორი ნახტომით ბოკვერებთან გაჩნდა. სწორედ მაშინ დავინახე უშველებელი სათვალიანი გველი, ხმელი ბალახებიდან რომ გამოსრიალდა და პატარა უფლისწულის წინ აღიმართა.

ძუ ლომმა იმარჯვა, გრძელი ნახტომი გააკეთა. ტორები მიწას დაჰკრა თუ არა, წინა მარჯვენა ღონივრად გაიქნია, რომ კობრასთვის თავი წაეგდებინებინა. გველმა მოასწრო თავის გაწევა და ლედი ჯეინს ზედ სახსართან ჩააფრინდა. მერე ძუ ლომმაც გააკეთა თავისი საქმე, კობრას თავი გაუპო, მაგრამ მისი ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო.

ძუ ლომმა ერთხელ კიდევ დახედა გველს, უკანასკნელად რომ შლიდა თავის რგოლებს მუცელზე. მოცახცახე ბოკვრებთან მივიდა, ჯერ ერთს აუსვა ხორკლიანი ენა, მერე მეორეს, მესამეს, მეოთხეს. მშვიდად გამობრუნდა და ისევ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა. ჩაიჩოქა და მარჯვენა ფერდით ხმელი ბალახის ლეიბზე დაწვა.

შეშინებული ბოკვრებიც უმალ მისცვივდნენ, მუცლის მხარეს მიუწვნენ. ერთხანს ლედი ჯეინიცა და ბოკვრებიც გასუსულები იწვნენ. ძუ ლომს თვალები დაეხუჭა და თვლემდა... მერე უცბად შეკრთა. ზანტად წამოდგა, ფეხები გაჩაჩხა და გაიზმორა. მოკლე, მოზომილი ნაბიჯებით ბოკვრებს მოშორდა და ხმელ ბალახში ტაგოს სათვალთვალო კოშკის მხარეს გამოიარა. სწორედ იმ ბილიკზე ჩაიჩოქა, სადაც მისი ბოკვრები ნავარდობდნენ. ტუჩებზე დუჟი მოერია, ზურგზე ბალანი აეძაგრა, თავი ნელ-ნელა დახარა და დაიღრინა.

ბოკვრები სწრაფად წამოცვივდნენ და დედისკენ გაქანდნენ. მან ისევ დაიღრინა და ბოკვრებიც შედგნენ, გაკვირვებით გახედეს ჩაჩოქილ ლედი ჯეინს.

პატარა უფლისწული სხვებს გამოეყო. გაბედულად წავიდა წინ. ძუ ლომმა ტორი აღმართა, გაიქნია და პატარა უფლისწულიც ხმელ ბალახზე გაკოტრიალდა. ძლივს წამოდგა, უკანა თათებზე ჩაჯდა და დედას გაკვირვებით მიაშტერდა.

ძუ ლომმა წამოდგომა სცადა. ძლივს აითრია ტანი, სავანას მიმართულებით ცოტაზე გაიარა. მერე ნელ-ნელა დაეშვა ბალახზე. განივრად გაწეული ფეხები უხერხულად და ალბათ მტკივნეულადაც დარჩა, მაგრამ ახლა ტორების შეკეცვის თავი აღარ ჰქონდა, დაწვა და დაწვა... მალე ახროტინდა. დუქმოძალებული დრუნჩი ცახცახით იწევდა დაბლა, სანამ მიწას არ შეეხო. ხროტინი შეწყდა. ხვართქლას ფერად ყვავილებს შორის საცოდავად მოჩანდა ლედი ჯეინის უშველებელი მძორი. მის უკან ოთხი ბოკვერის ნაკვერცხლებივით თვალებსაც ვხედავდი. ამაღამ დიდი გამოცდა ელოდათ. ხიფათით სავსე სავანაში უდედოდ უნდა გაეთიათ პირველი ღამე. ვინ იცის, შეიძლება ეს ღამე მათთვის უკანასკნელიც ყოფილიყო. გუნება გამიფუჭდა.

შინ რომ დავბრუნდი, ზღურბლთან ფერნანდო დამხვდა. ზურგით გაურანდავ ფიცარს მისწოლოდა და ღორიჭებოდა.

— სერ, ხვალ თქვენ ვინჩესტერს გაისვრით. ნადირობის ნებართვა ჩამოვიტანე. ძალიან გაჭირდა, მაგრამ მაინც მოვახერხე.

თავი ცივად დავუქნიე და ყურებჩამოყრილი ოთახში შევედი. გაოცებულმა ფერნანდომ თვალი გამომაყოლა. მერე ყვითელი ტყავის დიდი საქაღალდე გახსნა და ღერბიანი ქაღალდი გამომიწოდა.

ჩამოვართვი, მაგრამ არ წამიკითხავს, დავჭმუჭნე და იატაკზე მოვისროლე. ჩემი ფიქრები ახლა იმ პატარა ონავარ ბოკვრებს დასტრიალებდა, სულ მარტო რომ დარჩნენ სავანაში.

## შემოდგომის სურათები

**სიმონ შამუგრიანი**

### კახეთში

შორით — კავკასის, მაღლის,
ჩამოჭირხლული მხრები,
ახლოს — ალაზნის ველი,
აზვირთებული ზვრები,
ზვრებში — გამრჯეთა ლაღი,
ხალისიანი ხმები;
თვალგასახარი ხედი
გზისპირ სახლების წყების, —
გადაფარულთა ქარვით
აკიდოების, ჩხების;
ქვაბში — თათარას ორთქლი,
ქვევრში — ბადაგის შხეფი;
ყველგან სურნელი ამო
კომშის, ვაშლების,
მსხლების...
შემოდგომაა, კახეთს
უხდება ხოხბის ფრთები,
დალოცვილია მისი
ჭალა-ტყეები, მთები,
გვიხმობს, გვეძახის ფართოდ
მკლავებგაშლილი გზებით.

### მთაში

ბავშვობის მოგონებებიდან

რა ხანია, მოილია
შალშავი და ჟოლო,
ხელთ შემოგვრჩა
წვრილი პანტა
და მაჟალო მხოლოდ.
დაზამთრდება — გაგვიტკბება
პანტის ხმელი ჩირი,
ის მაჟალოც დაშაქრდება —
გავისველოთ პირი.

### ნახვამდის!

აქ აგრილდა... შორეული
გელით ცხელი სამხრეთი.
ზოგნი მალე დაგვშორდებით,
ზოგნი უკვე წახვედით.
მინდა, ჩემი ეს სურვილი
ლოცვად თან გაგატანოთ:
— კეთილი გზა დაგებედოთ,
სულ მშვიდობით გატაროთ!
სულ უვნებლად გადალახოთ
ზღვა, გუმბათი ყველა მთის...
ბულბულებო, წეროებო,
გუგულებო, მერცხლებო,
ნახვამდის!..



17.9.77

ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი 10

## ვიწყებთ ახალ დისკუსიას

# „ჩემი" და „ჩვენი"

ალბათ ყველას გინახავთ კინოთეატრებში, ავტობუს-ტროლეიბუსებში მავნე ხელით გამოშიგნულ-დაფუყული სკამები, გზის პირებს ჩაყოლებული ხეხილის უწყალოდ ჩამოტეხილ-ჩამოხლეჩილი ტოტები, სახლებიდან გამოტანილი ნაგვით დაუშნოებული ქუჩები... ეჭვიც არ შეგეპაროთ — ამის მქმნელი მწარედ განიცდის საკუთარ სახლში ავეჯზე თუ ოჯახის კუთვნილ ავტომანქანაზე გაჩენილ უმცირეს ნაკაწრსაც კი; მას ბოლმა ახრჩობს, როცა მისეულ ბაღში რომელიმე ხეს პატარა ტოტს ჩამოამტვრევენ; ქუჩაში დახვავებული ნაგავიც ასეთი ადამიანის მიერ საკუთარი სახლ-კარის საგულდაგულოდ დასუფთავების შემდეგ არის დაგროვილი...

რატომ? რატომ ხდება ასე?! ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანების ნაწილი სცნობს მარტო ერთ კუთვნილებით ნაცვალსახელს — „ჩემი" და სავსებით უგულებელყოფს მეორეს — „ჩვენი"?

მოდით, ამჯერად გრამატიკის კი არა, ზნეობის თვალსაზრისით შევხედოთ ადამიანების დამოკიდებულებას ამ ორი კუთვნილებითი ნაცვალსახელის მიმართ.

იგივე ავტობუსი, იგივე ხეხილი, იგივე ქუჩა — ყოველივე ეს შექმნილი, დარგული, მოვლილი და გაშენებულია ადამიანთა კოლექტივის მიერ სხვებზე ფიქრით, სხვებისთვის, სხვების საჭიროებისათვის. ამ ავტობუსით უნდა იმგზავროს ათასობით ადამიანმა — ჩვენ, ამ ხეხილის ნაყოფითა და სილამაზით უნდა ჩვენ დავტკბეთ, ამ ქუჩაზეც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვიაროთ. მაშ ვინ უნდა უფრთხილდებოდეს მათ? ყველა — მე, შენ, ის, ანუ ისევ და ისევ ჩვენ.

ჩვენს ხელთაა თბილისელი პედაგოგ-ორგანიზატორის თ. დიხამიძის წერილი, რომელმაც გვიბიძგა წამოგვეწყო საუბარი ამ თემაზე. გთავაზობთ ამ წერილის ნაწყვეტს:

„...კუთხეში მიყუჟული 13-14 წლის ბიჭს ხელში რკინის რაღაც ნატეხი თუ ჯაყვა ეჭირა და ავტობუსის კედელს გულმოდგინედ აცლიდა საღებავს. „ზაზა, კახა, თე..." შავად გამოკვეთილიყო ნარინჯისფერ ფონზე. არავინ აქცევდა ბიჭს ყურადღებას, მე კი გულმა ვერ მომითმინა:

„აბა რას შვრები, რატომ აფუჭებ?!"

ბიჭმა ერთი კი შემომიბღვირა, მაგრამ არაფერი მიპასუხა. „ოჯახში თუ გაქვთ მანქანა?" — ვკითხე. „დიახ", — [illegible] მომიგო ბიჭმა. „მერე. იმ თქვენს მანქანაზე გააკეთებ ასეთ რამეს?!" აქ კი გამიბრაზდა ყმაწვილი: „რა, გიჟი ვარ?!" — და გაჩერებაზე ჩავიდა. თითქოს არაფერი საშინელი არ ჩაუდენია იმ ბიჭს, რა მოხდა ისეთი, რაღაც ამოკაწრა! მაგრამ მის ამ საქციელში და კიდევ უფრო ნათლად, მის სიტყვა-პასუხში, მე დავინახე ჩვენი მოზარდების ერთი ნაწილის დაუფიქრებელი, გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოებრივი, საერთო ქონებისადმი, და სულ სხვაგვარი, საპირისპირო დამოკიდებულება საკუთარისადმი, იმისადმი, რასაც ჰქვია „ჩემი". რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ ადამიანი ჯერ პირადზე, საკუთარზე ფიქრობდეს, უფრთხილდებოდეს მას, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ არ უნდა აფიქრებდეს საერთო, არ უნდა ზრუნავდეს იმაზე, რასაც ჰქვია „ჩვენი..."

წერილში აღწერილი ალბათ ბევრს ენიშნა, ზოგი იქნებ მსგავსი შემთხვევის მოწმეც ყოფილა, ან იქნებ მონაწილეც კი...

მოდით, ვისაუბროთ ამის გარშემო, ვიკამათოთ, გავუზიაროთ ერთმანეთს მოსაზრებები, განვსაზღვროთ დამოკიდებულება საგნისადმი.

მაშ ასე, გიწვევთ მორიგ დისკუსიაზე, რომლის თემა გახლავთ „ჩემი" და „ჩვენი".

ველით თქვენს გამოხმაურებას.

---

## ჩვენი შემოქმედება

### წვიმა

მოწმენდილი ცა უცებ ტყვიისფერი ღრუბლებით დაიფარა. ჯადოსნური ზღაპრების გრძნეული რაშებივით მოჰქროდნენ ისინი ცაზე.

უცებ იქუხა, ელვა გაიკლაკნა, გზა გაიკვლია ღრუბლის სქელ შრეში და სწრაფად გაქრა...

ერთ წამს სიჩუმე ჩამოდგა...

მერე წვიმის წვეთების წყნარი წკაპუნი გაისმა. თანდათან მოუხშირა, კოკისპირულად დაუშვა შხაპუნა წვიმამ. ჰაერი წვიმისა და სველი მიწის სურნელით გაიჟღინთა. ვიდექი წვიმაში, ხარბად ვისუნთქავდი ამ გამაცოცხლებელი სურნელით სავსე სუფთა ჰაერს... მაწვიმდა... თმა დამისველდა და დამიმძიმდა, კაბა ტანზე შემომეტმასნა, სასიამოვნო სიგრილემ დამიარა სხეულში.

ქუჩაში გუბეები დადგა...

ფეხსაცმელი უკვე წყლით მქონდა სავსე, მაგრამ ეს არ მაწუხებდა. უმიზეზო სიხარული დამეუფლა, ასკინკილით გავყევი ქუჩას, ფეხებს ვატყაპუნებდი გუბეებში და გუბეები ნელა იმღვრეოდა. სველი ნაწნავის ბოლოდან ჩამომდიოდა წვეთები და კვლავ მივრბოდი. ბოლოს დავიღალე და შევჩერდი. წვიმას გადაეღო. წასულიყო... მხოლოდ მოლივლივე გუბეები დაეტოვებინა... და კიდევ-სასიამოვნო, ჟრუანტელიანი მოგონება.

**ინგა მელითაური,**
**წითელწყარო, ზემოქედის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი.**

### უცებ...

სიო ყაყაჩოს კაბას ხდის
და ყურებს უწევს სამყურებს,
ჩირგვთან კურდღელი ლაღად ხტის,
ციდან მნათობი დაჰყურებს.

სკვინჩა, წიწკანა, მზეწვია
ხეზე შემოსხდნენ კვირტებად,
ტყის ნაკადული პაწია
ფესვს გაგრილებას ჰპირდება.

ერთხელ შეხედავ და გინდა
მთელი სიცოცხლე უყურო...
ბუსაც კი ძილი მოსწყინდა, —
დაემშვიდობა ფუღუროს,

გაინავარდა ქორბუდამ,
კისერი ლაღად გამართა,
უცებ... ტყემ სული მოგუდა
და... ტყეში თოფი გავარდა.

ღუმლის ღუღუნი ხმას რიტმულად უწყობს ჩემს ფიქრებს,
დრო უკან მიდის და ფიქრებში წასული ვხედავ,
ჩვენი მამაცი წინაპარი ხმალს როგორ იქნევს
და ვაჟკაცურად მტრის უსაზღვრო ურდოებს კვეთავს.

მაგრამ უეცრად ჩუმი კვნესა აღმოხდა ვაჟკაცს,
ოსმალოს შუბით განგმირული დაეცა პირქვე,
„შენთვისო“ — მითხრა, არ შეეძლო მეტი მომაკვდავს
და სული ტკბილი დიდი ტანჯვით დალია იქვე.

აქ უფრო ძლიერ აბრიალდა ქართველთ ფრანგული,
სულ ცეცხლი ჰყარა და სიფრთხილეს თავი ანება...
ო, რა მაგრად და რა ძლიერად მიცემდა გული,
მთლად დავეთრგუნე წარმოდგენას, ამ ფიქრს, ზმანებას...

როს წინაპარი მტერთა ჯარებს ზედ აკვდებოდა,
მე არ ვიცოდი, თუ ოდესმე მეც გავჩნდებოდი,
მე არ ვიცოდი, ეს ქვეყანა თუ არსებობდა,
და ეს, იმიტომ, რომ მე თვითონ არ ვარსებობდი.

სიცოცხლეს თმობდნენ, უძვირფასეს და ტკბილ
სიცოცხლეს,
მაგრამ ვერ თმობდნენ თავის რჯულს და მშობლიურ
ენას,
მისთვის ტოვებდნენ უყოყმანოდ ამ წუთისოფელს,
მოვსულიყავით ქვეყანაზე რომ შემდეგ ჩვენაც...

## ოცდამეერთე

აფრა გაბერა უკეთესის ნახვის სურვილმა,
სამოგზაუროდ გამოვიდა ფიქრის ხომალდი,
აღმა აუყვა მძლავრ მდინარეს ორაგულივით,
რათა გაეგო ოცი ტალღის ლხინი და დარდი.

ის ოც ასწლეულს თამაშობდა ჭრელ ქვეყანაში
და გულის ნაპირს კვლავ მოადგა დაღლილი ძალზე,
შემოეგება წინ გონება, ხომალდთა მცლელი,
შთაბეჭდილების და განცდათა ტომრებით სავსე.

მოტანილ ცნობებს გადაევლო გონების თვალი...
გონება აძვრა სათვალთვალო მაღალ ანძაზე,
ოცი ტალღიდან გადიტანა იმედის მზერა
ოცდამეერთე, ჯერ შეუქმნელ, კეთილ ტალღაზე...

ზაზა გიგილაშვილი.

გორი, ქარალეთის საშუალო სკოლა, VII კლასი.

## ნამი

შუა მინდორში ამოსულ ღიღილოს მზის სხივი დაეცა და მანაც, ნაზად ყელმოღერებულმა, თვალი მოავლო მიდამოს. ღიღილოს გულში ჩაბუდებულმა ნამმა თვალი მოიჩრდილა და მზეს ახედა.

— გამაქრობს მისი სხივების მცხუნვარება, მიშველე, ღიღილო, ვიწვი, კვამლი ამდის!...

— კვამლი კი არა, ორთქლია, — გაეცინა ღიღილოს. — დამაცა, მოგეფარები. — ღიღილომ ნამი გვირგვინის ფურცლებში შეუშვა. — ჩემს ტანს ჩაჰყევი და ფესვებში ჩაიბუდე, თორემ სიცხემ ისე მომთენთა, სუნთქვა მიჭირს, — დაიჩურჩულა ღიღილომ.

— კარგი! სიკეთეს სიკეთით გადაგიხდი! — უპასუხა ნამმა, ყვავილის ღეროს ჩაჰყვა და ფესვებს დაესხურა.

— შენ გაიხარე, სიცოცხლე დამიბრუნე! ახლა თავისუფლადაც ვსუნთქავ. ყოველ დილით მოდი ხოლმე ჩემთან, მე მზისგან დაგიფარავ, შენ კი ფესვებს დამინამავ და ასე მეგობრულად ვიცხოვრებთ.

— მოვალ, ყოველთვის მოვალ, — ჩურჩულებდა ნამი.

თამილა ტაბატაძე,

რუსთავი, მე-10 საშუალო სკოლა,
IX კლასი.

## მტრედებმა მოიტაცეს

ჩადიოდა მზე — დღის დედოფალი.

ხბო, წეღან ეზოში რომ დაკუნტრუშობდა, გაირინდა და სევდიანი მზერა მიაპყრო მნათობს. მურიაც მოწყენილი იყურებოდა. ფოთოლიც კი არ შარიშურობდა. ბალახებიც გასუდრულიყვნენ. ნაღველმა შემიპყრო მეც.

ჰორიზონტზე მტრედების გუნდმა ჩაიქროლა. გაჰკრეს ფრთები მზეს, აიტაცეს და გაიყოლიეს.

მშვიდად შევბრუნდი. ვიცოდი: ხვალ ისევ მოფრთხიალდებოდნენ დღის მშვენიერ დედოფალთან ერთად.

ციცინო ვაშაკიძე,

თბილისი, 163-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.



გასეირნება
ხათუნა კალანდაძე, 12 წლის, ბათუმი.



ნახატი ინგა იოგიძისა, 7 წლის, ქ. ქუთაისი.

## ჯარმაცი ბიჭი და ბალი

**ხალხური ზღაპარი**

ერთი კაცი და მისი ვაჟიშვილი ბაზრობაზე წავიდნენ, თან სახედარიც წაიყვანეს გასაყიდად. პაპანაქება იდგა. ბიჭი ისე გასავათდა, ძლივს მიაბიჯებდა. უცებ, დაინახეს — გზაზე კრეიცერი გდია. მამამ შვილს უთხრა:

— აიღე, შვილო, ეს ფული და ჯიბეში ჩაიდეო.

ბიჭს დაეზარა და თქვა: ამ სიცხეში კრეიცერი დახრად არა ღირსო. მაშინ ფული მამამ აიღო.

სიარულში ბიჭი კიდევ უფრო დაიქანცა და მამამ იგი სახედარზე შესვა.

გზად ბლით სავსე კალათიან ქალს წამოეწივნენ.

— რამდენად მომყიდი კილოგრამ ბალსო? — ჰკითხა მამამ ქალს.

— ერთ კრეიცერადო, — მიუგო ქალმა.

მამამ ერთი კილოგრამი იყიდა, პარკში ჩააყრევინა და გზა განაგრძეს.

ბიჭს ძალიან უყვარდა ბალი, მაგრამ მამამ არ მისცა, მხოლოდ ერთი მარცვალი გადააგდო ძირს, ბიჭი მკვირცხლად ჩამოხტა სახედრიდან და ბალი პირში იგდო. მამამ კიდევ გადააგდო ერთი მარცვალი, მერე კიდევ ერთი. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ბალი სულ არ გათავდა. მაშინ მამამ ასე უთხრა ბიჭს:

— ხედავ, შვილო, ერთი კრეიცერისთვის დახრა დაგეზარა, იმ ფულით ნაყიდი ბლისთვის კი ასჯერ მაინც ჩამოხტი და დაიხარეო!

უნგრულიდან თარგმნა
ლევან შაკიშვილმა,
თბილისი, 47-ე საშ. სკოლა, VI კლასი.



ნახატი ლელა იოგიძისა, 8 წლის ქ. ქუთაისი.

## ზღვის საჩუქარი

ზღვა ღრიალებს, ნაპირს ემუქრება, ტალღების რაზმებს გზავნის მისკენ, წასალეკად...

ვზივარ ცხელ ქვიშაზე და შევცქერი ზღვის ბორგვას.

ნეტავ რა აშფოთებს! რამ გააგულისა, რა დაუშავა ნაპირმა?

მივხვდი!

ზღვას ჰგონია, რომ ქვიშიანი ნაპირი მასზე უფრო მიყვარს.

სულელი!..

არ იცის, რომ ისინი ორივე მიყვარს, ოღონდ — ერთად.

ზღვა, თითქოს ნაფიქრს მიმიხვდაო, დამშვიდდა.

მივუახლოვდი... გამიღიმა, დიახ გამიღიმა...

თეთრი ხელებით ფეხებზე მომეფერა და დიდი, ლამაზი ნიჟარა გამომირიყა.

ზღვამ დამასაჩუქრა...

მარიკა ზვიადაძე,
თბილისი, 47-ე საშ. სკოლა, IX კლასი.

## გავაოცებ ყველასა

დელი-დელი-დელასა,
მე დავხატავ მელასა,
ისე კარგად დავხატავ,
გავაოცებ ყველასა,
გავაკვირვებ, გავახარებ
ჩემს მეგობარ ლელასაც.

## ქარი

მე სულ არ მიყვარს
ქარის ფეთება,
ხეებს რომ უბნევს თავგზას,
რომ დაერევა ბაღში
ყვავილებს
და მუჭა-მუჭა ფანტავს,
არად აგდებს მათ
ცრემლიან თვალებს,
— ქარო, დადექი და შეიბრალე!..

თამრიკო დიდიძე,
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული
საშუალო სკოლა, III კლასი.



# ზამბახი

**ნაზო ანდრონიკაშვილი**

მხატვარი ედ. ამბოკაძე

დედის გვერდზე სკამზე მიყუჟული ერთიბეწო გოგო, თვალებგაბრწყინებული, ნეტარი ღიმილით უსმენდა საქვეყნოდ აღიარებული პიანისტი ქალის ჯადოსნური თითებით ამეტყველებულ მუსიკას. სმენადქცეულ ბავშვს დავიწყებოდა თავისი თავი და მთელი დარბაზიც...

მუსიკის უკანასკნელი ბგერები დარბაზში გაიბნა და შორეულ კუთხეებში მიჩუმდა. ამ ბგერებს მიყოლილი, სუნთქვაშეკრული გოგონა განძრევას ვერა ბედავდა.

უცებ, თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, მუსიკის ჯადო-თილისმისაგან თავდაღწეული დარბაზი ტაშის გრიალით, აღტაცების და მადლობის შეძახილებით აზანზარდა. სცენა გაივსო ყვავილების კალათებითა და თაიგულებით. ის კი, თავისი ხელოვნებით ქვეყანა რომ მოეხიბლა და დაეპყრო, იდგა კეთილი ფერიასავით ამ ყვავილებში, აუარებელი თაყვანისმცემლის წინ, ღიმილით პირდამშვენებულს ხელები გულთან მიეტანა და თავის დაკვრით მადლობას იხდიდა.

დამთავრდა კონცერტი...

— დედა, ამაღამვე ხომ არ წავლენ თელავიდან? — იკითხა გოგონამ, როდესაც ფარდა ჩამოეშვა. — მინდოდა მეც მიმერთმია „მისთვის" თუნდაც ერთი ყვავილი!

— არა, გენაცვალე, ამაღამ არ წავლენ. როგორ გგონია, ასეთი სიამოვნების შემდეგ სტუმრებს უპატივცემლოდ გაუშვებენ? — უპასუხა დედამ, ხელი მოჰკიდა აღგზნებულ ბავშვს და მასთან ერთად გასასვლელისკენ მიმავალ ხალხს შეერია.

იმ ღამეს ძილგამკრთალი გოგონა დიდხანს წრიალებდა ლოგინში. თეატრიდან გამოყოლილი შთაბეჭდილება ვერ გაენელებინა და გული სწყდებოდა, რომ ვერაფრით გამოხატა სიხარული და აღტაცება.

ბოლოს ძილმა მაინც თავი წაართვა... დაესიზმრა, ვითომ თეატრის ეზოში ფერად-ფერადი ყვავილები გადაშლილიყვნენ. აქ, ამ ყვავილებს შორის ყელმოღერებული, მზესავით ანათებდა მისი ზამბახიც. უცებ ამოვარდა ქარი და გაავებული ღრიალით დაერია ყვავილებს, ტრიალებდა, ხვეტავდა ქვასა და მიწას და თავზე აყრიდა მათ. კვნესოდნენ მიწისპირას გართხმული ყვავილები, კვნესოდა ლამაზი ზამბახიც.

გოგონას უნდოდა კალთა გადაეფარებინა, მაგრამ ქვისა და მიწის კორიანტელში აღარც სხვა ყვავილები ჩანდნენ, აღარც მისი ზამბახი. თვითონაც, ქარს შეჯახებულს, ნაბიჯი ვერ გადაედგა.

ქართან ამ ჭიდილში იყო ბავშვი, რომ სინათლე გამოჩნდა. თურმე მუსიკის ნათელი მოეშურებოდა აქეთ. მოდიოდა ეს სინათლე და ფეხზე აყენებდა ქარისაგან წაქცეულ, მიწაწაყრილ ყვავილებს. იბერტყავდნენ ყვავილები მტვერსა და მიწას, მუსიკის ნათელს ნაზიარებნი, ლამაზდებოდნენ, მათ გულში თუ ფოთლებზე ნაპკურ დილის ცვარ-ნამზე აციმციმებულნი ციცინათელებივით ეფინებოდნენ დედამიწას.

სინათლის მოახლოებასთან ერთად ქარი ძალას კარგავდა, თანდათან წუნარდებოდა და ფეხათრეული ტყუილადღა დაბორიალებდა. იფარფატა და სადღაც უკვალოდ გადაიკარგა. სამაგიეროდ მზე გაბრწყინდა, არემარე გააშუქა.

...შუქი შეიჭრა ოთახში, სადაც პატარა გოგონას ეძინა, მის სასთუმალს მოეფინა და გამოაღვიძა.

გოგონამ თვალები მოისრისა, ფანჯარას გახედა. ფანჯარაზე უვნებლად იდგა მისი ზამბახი და დილის მოკრიალებული ცის ფონზე მართლაც მზესავით ანათებდა.

ამ ზამბახის ბოლქვი მამამ მოუტანა. გოგონამ ქოთანში ჩარგო. მალე მიწიდან ამოწვერილი ციცქნა მწვანე კვირტი ოთხ გრძელ ფოთლად გადაიშალა. ფოთლებს კი გრძელღეროიანი ლილისფერი ყვავილები მოჰყვა.

შეჰხაროდა ბავშვი ამ ზამბახს, ახლოს არავის აკარებდა. ზამბახმაც ფესვები გაიდგა, გაიზარდა და ქოთანი ლამაზი ფოთლებითა და ყვავილებით დაამშვენა.

„მალე უნდა წავიდე, მივუსწრო სასტუმროში", — გაღვიძებისთანავე გაიფიქრა გოგონამ. საგანგებოდ გამოეწყო ახალ კაბაში, კიკინებიც საგულდაგულოდ ჩამოიწნა, ფანჯარასთან მიირბინა, გადაშლილი ზამბახი შეათვალიერა, ის იყო ხელი შეახო მოსაწყვეტად, რომ... „მიმეტებო?" თითქოს საყვედური შემოესმა წუნარ თრთოლვაში.

გოგონამ სწრაფად გაწია ხელი უკან. კარგა ხანს იდგა ასე. ბოლოს გადასაწყვეტი გადაწყვიტა. ზამბახი ქოთნიანად გულზე მიიხუტა და ოთახიდან გავიდა.

— ვის ეძებ, გოგონი? — შეეკითხა სასტუმროს მეკარე ბავშვს.

გოგონამ მისვლის მიზეზი განდო.

— ჯერ არ წასულან, — გაამხნევა მეკარემ.

აი, გაიღო კარები, მხიარული საუბრით ეზოში გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ თეატრის წუხანდელი სტუმრები და მათ შორის „ისიც" — პიანისტი ქალი. დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. გაბედა. მიირბინა და მანქანის ფანჯრიდან გადააწოდა „მას" ქოთანი აღაღანებული ზამბახით.

ქალმა ფრთხილად ჩამოართვა გოგონას ზამბახი, ღიმილით სახელი ჰკითხა.

— ნათია, — უპასუხა თავდახრილმა.

— გმადლობ, ნათია, თვალისჩინი-

ვით გავუფრთხილდები ამ ძვირფას საჩუქარს!

შუბლზე ლამაზად დაფენილი თმები შეისწორა და თვითონ ზამბახივით ნაზი და ჰაეროვანი, ლოყით მიეფერა ყვავილის გამჭვირვალე ფურცლებს, მერე მანქანის ფანჯრიდან ნათიას გამოხედა, გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია, და მანქანაც დაიძრა.

# ნუ გეშინია, მოვდივართ!

— უჩემოდ ეს ბაღიც ხომ დაჰკარგავს შნოსა და ლაზათს, ვინ დაამშვენებს? ვინ გაახარებს? — ჩურჩულებდა შტოს შერჩენილი დამჭკნარი ვარდი.

გული სტკიოდა, რადგან ატყობდა, ვეღარც თვალს გაუხარებდა ვინმეს და ვეღარც სურნელებით დაატკბობდა. აქამდის რომ აღტაცებული შეჰხაროდნენ, ახლა ისე ჩაუარეს, არც კი შეჩერებულან, ზედაც არ შეუხედავთ...

ცრემლად ჩამოღვარა გულში დაგროვილი ნამის წვეთები.

— ნუ გეშინია, მოვდივართ, ჩვენ დავამშვენებთ, ჩვენ გავახარებთ, — შეეხმიანნენ მის ჩურჩულს გასაშლელად გამზადებული ვარდის კოკრები.

ძლივს ასწია დანამული წამწამები. შეხედა კოკრებს, იმედი მიეცა...

უკანასკნელად აციაგდა მზის სხივი მის ფერმკრთალ, მიმჭკნარ ფურცლებზე და მომავლის სიკეთეში დარწმუნებული, ღიმილგამკრთალი, უდრტვინველად ჩამოიფურცლა.



## ყველაზე... ყველაზე... ყველაზე...

ყველაზე დიდი შადრევანი გამართულია არიზონას შტატის (აშშ) „შადრევანთა ბორცვზე". იგი წუთში 26.460 ლიტრ წყალს ხარჯავს, წყლის სვეტის სიმაღლე კი 170,8 მეტრს აღწევს.

დედამიწის ისტორიაში ყველაზე მძიმეწონიანი ტყუპები იყვნენ ამერიკელები ბილი (337 კგ.) და ბენი (328 კგ.) მაკ-კრეერები. ერთი მათგანი დაიღუპა გულის უკმარისობით, რაც მისმა ველოსიპედიდან ჩამოვარდნამ გამოიწვია.



მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდი ნავსადგურია როტერდამი (ჰოლანდია), მას ერთდროულად 310 დიდი ხომალდის მიღება შეუძლია.

ყველაზე დიდი ჩანჩქერი დედამიწის ზურგზე ანჯელ ფოლზის ჩანჩქერია (ვენესუელაში). წყალი აქ 979,6 მეტრის სიმაღლიდან ვარდება.

გრენლანდიაში ფოტოსურათი გადაუღეს დღემდე ცნობილ აისბერგთაგან ყველაზე უდიდესს: მისი სიმაღლე 168 მეტრს აღემატებოდა (წყლის ზედაპირზე, ჩვეულებრივ, აისბერგის ერთი მერვედია ხოლმე ამოშვერილი).

მსოფლიოში უდიდესი ნამცხვარი გამოაცხვეს ქალაქ გლენს ფოლზის ნიუ-იორკის შტატი) რესტორნის მზარეულებმა. იგი 60818 ნაწილად დაჭრეს ამდენივე კლიენტისათვის.

ჯერჯერობით ყველაზე დიდ წიგნად ითვლება ე. წ. „სუპერ ბუკი", რომლის ზომებია 274 X 310 სმ, ხოლო წონა — 138 კილოგრამზე მეტი. იგი დენვერში (აშშ, კოლორადოს შტატი) გამოიცა 1976 წელს.

## ემზადე, გახდე პიონერინსტრუქტორი!

იმ საქმეებისთვის, რომლებსაც პიონერინსტრუქტორი ასრულებს, მას „პიონერულ სპეციალობათა" ოსტატს უწოდებენ.

პიონერმა, რომელსაც ეს წოდება აქვს მინიჭებული, იცის, რომ ის, რისი გაკეთებაც თავად შეუძლია, სხვასაც უნდა ასწავლოს.

2 ოქტომბერს სტარტი აიღო ახალმა პიონერულმა საქმეებმა. რაზმეულს აქედანვე სჭირდება ყველასი, და რაღა თქმა უნდა, პიონერინსტრუქტორების მხარდაჭერაც.

ვინ შეიძლება გახდეს პიონერინსტრუქტორი? როგორ ხდება პიონერი პიონერინსტრუქტორი? რით ამართლებს ის თავის წოდებას?

ამ კითხვებზე გიპასუხებთ ამ სასწავლო წელს ჩვენი კლუბის პირველი სხდომის პირველი სტუმარი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე ლია დანიელაშვილი.

...მახსენდება შარშანდელი მაისი, როდესაც თბილისის პიონერთა საქალაქო შტაბის „კოცონის" თავმჯდომარეს მიხეილ ჭკუასელს და შტაბის დანარჩენ წევრებს საქალაქო შტაბის რეკომენდაციით პიონერინსტრუქტორის წოდება მიენიჭათ. ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ ეს დღე მ. ჭკუასელს, ნ. სურგულაძეს, ნ. ფესტვენიძეს, კ. ყანდიაშვილს, ქ. თეთრაძეს, მ. ლაბაძეს, ი. მოსაშვილს, გ. ართილაყვას.

ცოტა ადრე, აპრილში კი, „არტეკში" პიონერინსტრუქტორთა საკავშირო შეკრება მოეწყო.

— მეამაყება ჩემი მოვალეობა! — ასე იწყებოდა არტეკში თითოეული პიონერინსტრუქტორის გამოსვლა.

— ჩემს წრეში 11 ბავშვია, ყველამ იცის საყვირზე დაკვრა, ყველა სიგნალი შეუძლიათ დაუკრან, საყვირზე ყველა უნდა უკრავდეს და მეც ვეხმარები ამხანაგებს, დაკვრას ვასწავლი, — განაცხადა ერთმა.

— მესამე წელია, მეხუთეკლასელებს ხალხურ სიმღერებს ვასწავლი. თავიდან მხოლოდ ვმღეროდით, ახლა თეორიასაც მივხედეთ. პიონერებმა უკვე იციან მუსიკალური ტერმინები. ვაცნობ მათ ცნობილი კომპოზიტორების ცხოვრებას, — გაუზიარა არტეკელებს მეორემ.

— ნორჩკორი ვარ და კედლის გაზეთებზე ვაგებ პასუხს. მაინტერესებს, უშვებს თუ არა ყველა რაზმი გაზეთს, რა უჭირთ სარედაქციო კოლეგიებს; ვიცი, რომელ რაზმში რა ხდება. ვმუშაობ მესამეკლასელებთან, ნორჩკორებად ვამზადებ მათ — ოქტომბრელებთან ერთად ვუშვებ კედლის გაზეთს. როცა პიონერები გახდებიან, კარგი ნორჩკორები იქნებიან. რაც ვიცი, ყველაფერს ვასწავლი მათაც, უფროსი პი-




პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი
ნათელა ფაილოძე

# „პიონერულ სპეციალობათა“ ოსტატი

ონერები მეც ასე მასწავლიდნენ, — დაუმატა მესამემ.

წყალტუბოელმა ნინო ბაბუნაშვილმა კი არტეკელ თანატოლებს გაანდო, რომ ძალზე უყვარს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კითხვა, ისიც არ დაუმალა, როგორ ეშინოდა თავიდან სცენის, როგორ გაამხნევა და ასწავლა სცენაზე გამოსვლა ავთო ხაჯაპურიძემ. ახლა მე თვითონ ვასწავლი პატარებს არა მარტო სცენაზე თამამად გამოსვლას, არამედ ქართული ლიტერატურის სიყვარულსო.

## მაშ ვის შეიძლება ვუწოდოთ პიონერინსტრუქტორი?

— პიონერინსტრუქტორი, ეს ის პიონერია, რომელიც განსაზღვრულ ცოდნასა და ჩვევებს დაეუფლება და რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით თანატოლებს, უმცროსი ასაკის ბავშვებს საყვარელი საქმით დააინტერესებს, გაიტაცებს.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია მიმართავდა რა პიონერებს, ურჩევდა, — რაც შენ გაიგე და ისწავლე, შენს მეგობრებს, სხვა ბავშვებს გადაეცი, დააინტერესე იმ საქმით, რითაც შენა ხარ გატაცებულიო.

ეს განსაკუთრებით უფროს პიონერებს ეხება.

ალბათ იკითხავთ: გამოდის, რომ პიონერინსტრუქტორი აუცილებლად მე-7 მე-8 კლასში უნდა სწავლობდესო?

არ არის აუცილებელი. თუ მას შეუძლია ჩვევა და ცოდნა გადასცეს სხვას, შეიძლება უმცროსი კლასის პიონერიც იყოს. მაგალითად, ჭადრაკის მოთამაშეთა შორის ბევრი მე-5 კი არა, მე-4 კლასელიც არის, რომლებსაც პირველი სპორტული თანრიგი, ან ოსტატობის წოდება აქვთ მინიჭებული. ასეთ ბავშვებს შეუძლიათ შექმნან ჭადრაკის წრე, მოაწყონ შეჯიბრებები. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი პიონერი მე-4, მე-6 კლასიდან არის გატაცებული კოლექციონერობით, აგროვებს მარკებს, სამკერდე ნიშნებს, ღია ბარათებს; მათ შეუძლიათ სისტემატურად მოაწყონ რაზმებში ან რაზმეულებში საინტერესო საუბრები მარკებზე, სამკერდე ნიშნებზე, მოუთხრონ თანატოლებს თავიანთ კოლექციებზე, ურჩიონ, სად შეიძლება მათთვის საინტერესო წიგნების შოვნა; ან თუ თვითონ აქვთ ეს წიგნები, წასაკითხად დაუთმონ.

## რა უნდა აკეთოს პიონერინსტრუქტორმა?

პიონერინსტრუქტორი უპირველეს ყოვლისა უფროს პიონერხელმძღვანელს ეხმარება სხვადასხვა სარაზმეულო საქმეების მომზადება-ჩატარებაში, მოსწავლეებს თავის ცოდნას გადასცემს.

საინტერესო გამოცდილება დაგროვდა სკოლებში. ინსტრუქტორ-მესაყვირენი თავიანთ ხელოვნებას ყველა რაზმიდან წარმოგზავნილ პიონერებს გადასცემენ, ხოლო ინსტრუქტორ-წამომწყებები „მოძრავ შესვენებებზე“ თამაშობებს ასწავლიან ამხანაგებს.

ინსტრუქტორები, რომლებიც სასახლის სიმღერის გუნდში დადიან, სიმღერის მასწავლებლებთან ერთად სკოლაში სიმღერის წრეებს ქმნიან. ინსტრუქტორ-სპორტსმენები დილის ვარჯიშს ატარებენ; თანატოლებს სპორტლანდიაში ამოგზაურებენ, მართავენ ჯანმრთელობის, სირბილის დღეს, სხვადასხვა შეჯიბრებებს. რაზმეულებში ხშირად შეხვდებით ნორჩ არმიელთა სპეციალობებს დაუფლებულ ინსტრუქტორებსაც.

## სად ემზადებიან პიონერები პიონერინსტრუქტორებად?

პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და სასახლეების წრეებში, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებში, ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულ სექციებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შექმნილ კლუბებში — ყველგან, სადაც პიონერები გამოცდილ დამრიგებლებთან, პიონერხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან ერთად ორგანიზატორულ ჩვევებს ეუფლებიან, ამა თუ იმ საქმის შესრულებაში ოსტატდებიან.

ჩვენთან ყოველწლიურად 100-120 პიონერინსტრუქტორს ვამზადებთ სხვადასხვა პიონერული სპეციალობით. ეს გახლავთ: პოლიტინფორმატორი, მესაყვირე, წითელი კვალისმაძიებელი, ნორჩკორი, ექსკურსიამძღოლი, რადიომოყვარული, ავიამოდელისტი, ფოტომოყვარული, ჭადრაკის მოთამაშე და ა. შ. წრის წევრთა შერჩევა იმათგან, ვინც პიონერინსტრუქტორობა გადაწყვიტა, სწავლების მე-2 წლის შემდეგ ეწყობა. ბავშვები თვით უნდა იყვნენ დაუფლებულნი საჭირო ცოდნა-ჩვევებს, რათა შემდეგ სხვას გადასცენ ისინი; არსებობს პიონერინსტრუქტორის სპეციალური პროგრამა.

## ვინ ანიჭებს პიონერინსტრუქტორის წოდებას?

მხოლოდ და მხოლოდ რაზმეულის საბჭო, და ისიც მას შემდეგ, როდესაც პიონერის ცოდნა სკოლაში, პიონერთა ბანაკში თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პრაქტიკული მუშაობით იქნება შემოწმებული. პირადობის მოწმობა და სამკერდე ნიშანი პიონერინსტრუქტორს რაზმეულის შეკრებაზე ან საზეიმო ხაზზე გადაეცემა.

ხშირად გვეკითხებიან, — შეუძლია თუ არა პიონერთა ბანაკის რაზმეულის საბჭოს პიონერინსტრუქტორის წოდების მიკუთვნება? არა, არ შეუძლია; უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ, სანამ ის პიონერის ამ წოდებას მიაკუთვნებს, საჭიროა მისი ცოდნა და ჩვევა შემოწმდეს. ამისათვის სულ ცოტა 2-3 თვე მაინც არის საჭირო. ბანაკში კი ბავშვები უფრო ხშირად ერთ ნაკადში ისვენებენ. პიონერთა ბანაკებში პიონერინსტრუქტორად უნდა იმუშაონ იმ პიონერებმა, რომლებსაც უკვე მინიჭებული აქვთ ეს წოდება, ანდა საუკეთესო პიონერაქტივისტებმა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც საქმის საუკეთესო ორგანიზატორებმა.

ბანაკის რაზმეულის საბჭოს შეუძლია წერილობით გასცეს ცნობა ან დახასიათება პიონერის მიერ ბანაკში ჩატარებული მუშაობის შესახებ, ურჩიოს სკოლის რაზმეულის საბჭოს, რომ ბავშვებს, რომლებმაც ბანაკში კარგი ცოდნა და მონაცემები, და ამასთან პიონერინსტრუქტორის თვისებები გამოავლინეს, ანდოს გაუძღვეს წრეს ან სექციას, შემდეგ კი პიონერინსტრუქტორის წოდებაც მიანიჭოს.

პიონერინსტრუქტორი სკოლაშიც შეიძლება მოვამზადოთ, მას აქ უფროსი პიონერხელმძღვანელი, სკოლის კომკავშირის კომიტეტი, მასწავლებელი ამზადებენ.

●

— პიონერინსტრუქტორო, მოგვწერე, რას ასწავლი თანატოლებს თუ შენზე უმცროსებს. ჩვენი მისამართია: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, პიონერული აქტივის კლუბი „კოცონი“.



# დამკვრობელთა წინაშე არ დაუკრავ

**კურტ დავიდი**

მხატვარი
გივი ნონიკაშვილი

მოთხრობა

1806 წლის ცივ და წვიმიან შემოდგომის საღამოს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტროპაუში თავად ლიხნოვსკის სასახლისაკენ კარეტა მიემართებოდა. კარეტაში იჯდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. იგი თავადთან იყო მიწვეული რამდენიმე კვირით.

სასახლის სადარბაზოსთან ორი ჩირაღდნიანი მსახური დახვდა.

— მისი ბრწყინვალება, უკვე გელოდებათ, — მოახსენეს მათ დიდ კომპოზიტორს, წინ გაუძღვნენ და მისთვის განკუთვნილ ოთახში შეიყვანეს.

— ალბათ ამ წვიმაში მგზავრობა გაგიჭირდათ, მაესტრო, — უთხრა სასახლის მსახურთუხუცესმა.

— წვიმაშიო? აბა წვიმა მე რას დამაკლებდა, როცა შიგნით ვიყავი, გარეთ მეეტლე იჯდა, აი, ვისთვის იყო მგზავრობა სინამდვილეში საძნელო.

მსახურთუხუცესი ოთახიდან გავიდა.

მოგვიანებით ერთმა მსახურმა რჩეული საჭმელებით სავსე ლანგარი და საუკეთესო ღვინო მიართვა კომპოზიტორს, მეორემ კი — ჩინებული ვაშლი და მსხალი.

ბეთჰოვენმა ცოტაოდენი ქათმის ხორცი მოწიწკნა და ყლუპი ღვინო მოსვა. მერე პალტოს შიგნითა ჯიბიდან სანოტო ფურცლების შეკვრა ამოიღო — ყველა შევსებული იყო. ერთ-ერთი ფურცელი მოძებნა, იქვე მოკლე დივან-სავარძელში გადაწვა და ნოტებს ჩააცქერდა. ეს იყო სონატა, რომლის შექმნაზეც უკვე ორი წლიწადი მუშაობდა, მაგრამ ჯერ მაინც დამთავრებულად არ მიაჩნდა. კვლავ დაიწყო თითებით კედელზე ტაქტის გამოყვანა. გაასწორებდა რომელიმე ნოტს და კაკუნს განაგრძობდა.

— ბატონს რამე ხომ არ ნებავს? — თავი შემოყო მსახურმა კარებში.

ბეთჰოვენმა უაზროდ შეხედა.

— ბატონი ვან ბეთჰოვენი კედელზე აკაკუნებდა, — თქვა მსახურმა.

— ჰო, ჰო, — წაიბურტყუნა მაესტრომ და მზერა კვლავ სანოტო ქაღალდზე გადაიტანა. მერე უცებ ეს ფურცელი კედელს მიადო და ზედ ფანქრით აქა-იქ რაღაც მიაწერა. მსახურის იქ ყოფნა უკვე აღარ ახსოვდა.

— იქნებ ბატონ ვან ბეთჰოვენს პალტოს გახდაში სჭირდება მოხმარება? — ჰკითხა მსახურმა ყოყმანით.

— რა საჭიროა? — თქვა ბეთჰოვენმა და ახლაღა შენიშნა, რომ პალტო ისევ ეცვა.

— ეგება ბატონმა კომპოზიტორმა პალტოს გამო დამიკაკუნა? — ჰკითხა კვლავ მსახურმა.

— დამიკაკუნაო?

— დიახ, ჩემო ბატონო! თქვენ დააკაკუნეთ. სრულიად გარკვევით გავიგონე და მაშინვე მოვედი.

ბეთჰოვენი სიცილით წამოდგა და პალტო გაიხადა. მსახურიც მიეხმარა. როცა მსახური ოთახიდან გავიდა, ბეთჰოვენმა მიაძახა:

— თუ ვინიცობაა კიდევ დავაკაკუნო, ნუღარ მოხვალთ.

— ნუღარ მოხვალთო, — წაიბუტბუტა მსახურმა. — საოცარია პირდაპირ! ყველა სტუმარი ჩვის, დაკაკუნებაზე მსახური დროზე თუ არ მივა! ეს კი...

ღიმილმორეული ბეთჰოვენი ისევ დივან-სავარძელში გადაწვა და გაიფიქრა: „მოიცა, მოიცა, ჩემო კარგო! მაშინ რაღას იტყვი, ამაღამ მთელ სონატას რომ ჩავაკაკუნებ?!“

გვიან საღამოს თავადი ლიხნოვსკი და მისი მეუღლე ბეთჰოვენის ოთახში შევიდნენ.

— ჩვენ გვინდა მხოლოდ ძილი ნებისა ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას სტუმარს, — უთხრა მასპინძელმა. ბეთჰოვენი ქალბატონ ლიხნოვსკის ხელზე ეამბორა.

— მე თქვენ ყოველთვის მახსოვხართ, თავადო, — უთხრა ბეთჰოვენმა და სონატის ნოტებზე მიუთითა. თავადის მეუღლეს კი მიმართა: — ვფიქრობ, ახალი ნაწარმოები განსაკუთრებით მოგეწონებათ, რადგან ეს ყველა დანარჩენთან შედარებით მგზნებარეა.

— მაშასადამე, ხვალ საღამოს უკვე შეგეძლებათ დაუკრათ, თუ ჯერ კიდევ მთლად მზად არ არის შესასრულებლად? — ჰკითხა თავადის მეუღლემ.

— მე მგონი, კი, — მიუგო ბეთჰოვენმა.

— კეთილი, კეთილი, მაესტრო. ხვალ საღამოს სტუმრად მაღალი საზოგადოება მეყოლება. დიდად მოხარული იქნებიან, თუ თქვენი მოსმენის შესაძლებლობა მიეცემათ. ესე იგი, დაუკრავთ, არა?

— ხომ იცით, თავადო, სტუმრებთან ყოველთვის სიამოვნებით ვუკრავ!

ცოლ-ქმარი ოთახიდან გავიდა. ბეთჰოვენი მარტო დარჩა. კაცმა რომ თქვას, კმაყოფილი იყო. თითქოს ყურთასმენაც გაუუმჯობესდა. ისიც თავისებურად სანუგეშო გახლდათ, თავადი ლიხნოვსკის სახით მეგობარი რომ ეგულებოდა. კომპოზიტორს წყა-

ლობა არ აკლდა, ყოველწლიურად 600 გულდენი ჯამაგირიც კი დაუნიშნა, მუსიკალური ინსტრუმენტი და ტანსაცმელი აჩუქა, ერთი სიტყვით, იგი მას დიდად აფასებდა და აღიარებდა, თანაც თავადი ლიხნოვსკი მარტო მფარველი კი არ იყო, მუსიკის მოტრფიალე და მცოდნეც გახლდათ. ერთხანს იგი მოცარტის მოსწავლეთა რიცხვშიც კი ერია.

ბეთჰოვენს წინასწარ ახარებდა ხვალინდელი საღამო, როცა იგი სტუმრებისთვის თავის ახალ სონატას, სანუკვარ აპასიონატას დაუკრავდა, სიამოვნებით იგონებდა იმ პატარა კონცერტებს, რომლებსაც თავადი ყოველ პარასკეობით მართავდა თავის ვენის სასახლეში.

●

დადგა მეორე საღამოც. სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ მუსიკის სალონში, როცა თავადი ბეთჰოვენის ოთახში შევიდა კომპოზიტორის მოსაწვევად.

— წავიდეთ, გველოდებიან. — უთხრა მასპინძელმა.

— გველოდებიანო? მეც მელოდებიან, თავადო? — თქვა სიცილით ბეთჰოვენმა.

ორმა მსახურმა სალონის ფართო კარები გააღო. სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და საუბრობდნენ. ორივე ბატონის შესვლისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა კარებს მიაჩერდა. ლიხნოვსკი ბედნიერი სახით იდგა შესასვლელთან, მის გვერდით მყოფი ბეთჰოვენი კი კრიტიკულ მზერას ავლებდა სტუმრებს. უეცრად მან უკან დაიხია: დამსწრეთა შორის ელეგანტურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე მაღალი ჩინის ოფიცერი დალანდა. თავადი ლიხნოვსკი ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ უკან შეტრიალდა და დაინახა, რომ ბეთჰოვენი კარებში უძრავად იდგა.

— შემობრძანდით, — დაუძახა მასპინძელმა.

— არ დავუკრავ, — თქვა კომპოზიტორმა და სიბრაზისაგან სახეაჭარხლებული დაჟინებით მიაჩერდა ფრანგულ სამხედრო ფორმებს. — არა, დამპყრობლების წინაშე არ დავუკრავ, — გაიმეორა დაბეჯითებით და სალონი დატოვა.

იმ დროისათვის ნაპოლეონს თითქმის ნახევარი ევროპა ჰქონდა დაპყრობილი.

ბეთჰოვენმა სწრაფად მიაშურა თავის ოთახს და შიგ ჩაიკეტა. მეტისმეტი აღელვებისაგან წონასწორობა დაკარგა.

ამასობაში თავადიც მიიჭრა და კარის სახელურს ჯაჯგური დაუწყო.

— თუ შეიძლება, გააღეთ, ბატონო ბეთჰოვენ!

მაგრამ კომპოზიტორი დუმდა.

— ხომ შემპირდით, თქვენს სტუმრებთან დავუკრავო? — ჰკითხა გარედან ლიხნოვსკიმ.

— კი, კი შეგპირდით, თავადო, მაგრამ ეს ფრანგები არიან ჩვენი სტუმრები?

— დიახ, ისინი, მაესტრო.

— ისინი დამპყრობლები არიან, და მე მათ წინაშე არ დავუკრავ!

— ოდნავ მაინც გააღეთ, ბატონო ბეთჰოვენ, — სთხოვდა ლიხნოვსკი და ენერგიულად აბრახუნებდა კარზე.

— ოფიცრები მოიყვანეთ დასახმარებლად, იმათ უფრო ეხერხებათ კარების შელეწვა.

— თქვენ უსამართლოდ იქცევით, ბეთჰოვენ. გააღეთ კარი!

— არა! და არც დავუკრავ!

— კმარა, ბეთჰოვენ! ფრანგი გენერალი ჩემი მეგობარია.

— ფუი ეშმაკს! ვინ იფიქრებდა!

მასპინძელმა კარი შეამტვრია.

ბეთჰოვენმა სკამი აღმართა.

— მე თქვენ გიჩვენებთ, ლიხნოვსკი, როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავისი ღირსება!

კომპოზიტორს მკლავში ეცნენ.

ბეთჰოვენმა თავადს ხელი ჰკრა, გვერდით გაუსხლტა და სასახლის კიბეები სწრაფად ჩაირბინა.

მსახურთუხუცესის ოთახში მან ლიხნოვსკის წერილი დაუტოვა:

„თავადო! რასაც თქვენ წარმოადგენთ, შემთხვევითობისა და მოდგმის წყალობაა. ხოლო რაც მე ვარ, ჩემი საკუთარი თავის წყალობით ვარ. თავადები არიან და კვლავაც ათასობით იქნებიან, ბეთჰოვენი კი ერთადერთია."



მან წვიმიანი ღამით მიატოვა სასახლე და ფეხით გაუდგა ტროპაუს გზას, რომ იქიდან კვლავ ვენაში დაბრუნებულიყო.

გერმანულიდან თარგმნა შ. შოთაძემ

# ტყეების

არნოლდ გვეჭეკორი

# მწვანე სამკაული

თ. ფურცხვანიძისა და ვ. გოგისვანიძის ფოტოები





ტყე ბუნების განსაკუთრებული ფენომენია. მისგან ბევრადაა დავალებული თვით სიცოცხლე დედამიწაზე. ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის პიონრები — ჯერ ოკეანეში, შემდეგ ხმელეთზე — სწორედ მცენარეები არიან. მცენარეების და, უპირველესად, ტყის წარმოშობასთან ერთად, სულ უფრო სრულყოფილი ხდება სიცოცხლე. ტყე დედამიწის ფილტვებია. ტყის ფართობების გამეჩხერება დედამიწას ჟანგბადით ალარიბებს. ეს კი დიდ ზიანს აყენებს ცხოველური ორგანიზმების, მათ შორის, ადამიანის არსებობას.

ტყე ერთადერთია ბუნებაში, რომელსაც წარმოუდგენელი მასშტაბებით, გიგანტური ძალებით შეუპოვარი იერიში მიაქვს არაცოცხალ ბუნებაზე: ავიწროებს მას, სამაგიეროდ კი სიცოცხლით აჯილდოებს უდაბნოებს, მოშიშვლებულ მთა-გორებსა და კლდეებს. ეს ის ლანდშაფტებია, რომელთა გაცოცხლებაში ხშირად ადამიანის გენიაც კი უძლურია. ქვასა და ხეს შორის, მაღალმთიანეთის მკაცრ პირობებსა და ხე-მცენარეებს შორის უკომპრომისო ბრძოლას დღემდე ვხედავთ საქართველოს ნებისმიერ მთიან კუთხეში.

ეს არაცოცხალ ბუნებაზე სიცოცხლის გამარჯვების ნამდვილი ზეიმია. ტყე უთვალავი სასარგებლო პროდუქტის წიაღია. ეს უწინარესად მერქანზე ითქმის. მერქანი საოცრად უნივერსალური მასალაა, ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში.

ქართველ ხალხს ჰყავდა შესანიშნავი მხატვრები, ხუროთმოძღვრები და ხეზე კვეთის ოსტატები, რომლებიც ხის ჩუქურთმებითა და ორნამენტებით ამკობდნენ ეგრეთ წოდებულ „საერო“ და „საჯალაბო“ სახლებს.

მაგრამ ტყე ადამიანისათვის განა მარტო ხეა? იგი უამრავი ძვირფასბეწვიანი ცხოველია, სოკოები და ველური ხილია, მედიკამენტები და თაფლოვანი ყვავილებია, სასოფლო სამეურნეო კულტურებისა და ნიადაგის ეროზიისაგან ერთგული დამცველი და ნიადაგში წყლის რეჟიმის შემნარჩუნებელია.

მეტყევეთა მეხუთე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებაში ტყის მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმითაა მინიშნებული: „ტყე ქმნის წყალს, წყალი — მოსავალს, მოსავალი კი — სიცოცხლეს“.

უხსოვარი დროიდან ადამიანის ცხოვრებისეული გზა აღინიშნებოდა ტყეების უგუნური განადგურებით.

ტყის განადგურება-დაკნინებასთან

ერთად ბუნება ღარიბდება ბიოლოგიური სტიმულატორებითაც, რაც უარყოფით დაღს ასვამს ადამიანის ფიზიკურსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მის შემოქმედებით საქმიანობას.

ჩვენი რესპუბლიკის ბუნების მთავარი და უმნიშვნელოვანესი სახეა ტყე და მისი ბიოლოგიური სამყარო. ტყეს რესპუბლიკის ფართობის 38,5 პროცენტი უჭირავს. ტყის მცენარეული სამყაროს იშვიათი, მსოფლიოში თითით საჩვენებელი წარმომადგენლებია კავკასიური ფიჭვი მარიამჯვარში, ძელქვა ბაბანეურში, იმერეთის მუხა აჯამეთში, უთხოვარი ბაწარაში, ბიჭვინთის ფიჭვი ბიჭვინთაში, პონტოს მუხა ჩხაკაურში; ტყის იშვიათი მასივები — ავადჰარას სოჭნარები, თეთრობ-ჭობარეთის ფიჭვნარები, ბორჯომის ხეობის ნაძვნარები, კინტრიშის ხეობის კოლხური რელიქტები, აჭარა-აფხაზეთ-სამეგრელოს ბზის კორომები...



ძველი ბერძენი პოეტები და ისტორიკოსები აღტაცებით აღწერდნენ იბერიისა და კოლხეთის დაბურულ ტყეებსა და წალკოტებს. რომაელი ისტორიკოსები წერდნენ, რომ იბერიელები ტყეებს ციხე-სიმაგრეებად იყენებდნენ, შიგ მაგრდებოდნენ, ამიტომ აღმოსავლეთიდან შემოსეული ურდოები, უწინარესად, ტყეებს ანადგურებდნენ, ტყით დაბურულ მთებს ხრიოკებად აქცევდნენ.

ტყის ესოდენ დიდი მრავალფეროვნება განაპირობებს საქართველოს მიწა-წყლის სიუხვესა და დოვლათს, ქართველი კაცის ეთნოგრაფიულსა და ინტელექტუალურ თავისებურებებს.

ამჟამად რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა და მთავრობა, სატყეო მეურნეობის სამინისტროს მესვეურნი ბევრს ზრუნავენ გაჩანაგებულის აღდგენაზე, არსებულის დაცვაზე, ხელოვნური ტყე-პარკების გაშენებაზე.

უხსოვარი დროიდან ჩვენში ცალკე იყო საბარე, სასხლავი, საკაფი, საჯარჯი, საშეშე, უკაფი ტყეები. ქართველებმა იცოდნენ ტყის ყადრი და უვლიდნენ კიდეც მას.

ტყე განსაკუთრებული სამყაროა, იგი სიხარულის აღმაფრენის, ნათელი გრძნობების წყაროა. აქ ყველა პოულობს სულიერ საზრდოს: მეცნიერი ახალ-ახალი აღმოჩენების წინაშე დგება, მხატვარს აოცებს ფერთა უსასრულო გამა, მუსიკოსს — ბგერები, სკულპტორს — ფორმათა სრულყოფა, ბუნების რიგით მოყვარულს — სიცოცხლის უსაზღვრო მრავალფეროვნება.

ბუნება, და, უწინარესად, ტყე თავისი შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროდ გაიხადეს სრულიად სხვადასხვა საქმიანობის ადამიანებმა: ჩარლზ დარვინმა, გოეთემ, ვაჟა-ფშაველამ, რომენ როლანმა და სხვებმა. მიწაწყლის სიყვარული პირველად სარკმლის წინ მოშრიალე ხემ, ტყის პირას დანახულმა აისმა, მდინარის ჭალებისაკენ მიმავალმა ბილიკმა გვაგრძნობინეს.

ტყე კვებავდა ჩვენს მითოლოგიას. უსიერი ტყე გახვეულია ლეგენდების, თქმულებების, გადმოცემების, ცრურწმენების საიდუმლო ბურუსში. ყველაფერი ამის მიღმა კი ადვილი გამოსაცნობია ხალხის სულიერი სიმდიდრე, მისი პოეტური ბუნება. საზოგადოებრივი განვითარების ჯერ კიდევ უძველეს ეტაპზე ტყემ არქაული ადამიანის წარმოდგენაში მაგიური შინაარსი შეიძინა და ფანტასტიკური თაყვანისცემის ობიექტადაც იქცა. აქედან მოდის ცალკეული ხეების წმინდა მცენარეებად შერაცხვა.

საქართველოში მუხა ერის სიძლიერის, მისი დღეგრძელობის სიმბოლოდ იყო აღიარებული. მუდამ გარეშე მტრის გარემოცვაში მყოფ საქართველოს ხალხი მძლავრ მუხასთან აიგივებდა, რომელსაც მუმლი ეხვევა, მაგრამ ვერას აკლებს („მუმლი მუხასა“).

ქართველებს გაადამიანებული, ანდა გაღმერთებული ჰყავდათ ცხოველთა სამყაროც.

ხალხის მიერაა შექმნილი ბუნების ენის მცოდნე მინდიას სახე, რომელიც ვაჟას გენიამ უკვდავყო პოემა „გველის მჭამელში“.

ქართული პოეტური აზროვნების მთავარი ძარღვი მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ძირძველ ეროვნულ გაგებასთან. ასეა ეს შოთა რუსთაველიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე. ბუნებასთან — ადამიანის თუ, პირუკუ, ადამიანის — ბუნებასთან ორგანულად შერწყმის უტყუარი დასტურია ვაჟას „ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია“, შოთა ნიშნიანიძის „ტყეში შევდივარ და ხედ ვიქცევი, ხეში შევდივარ და ტყის სული ვარ“.

ამგვარი დამოკიდებულება ბუნებისადმი ჩვენი ერის მაღალი სულიერი კულტურის მაჩვენებელია. ამ ნიშანდობლივი თვისებებით ქართველი ხალხი მსოფლიოს მოწინავე ერებს შორის დგას.

მაინც რაში მდგომარეობს ტყის მომხიბვლელობის ძალა? ორიოდე სიტყვით იგი შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს: ეს გახლავთ სიცოცხლის შეერთხმიანების სრული გამოხატულება, სასიამოვნოსა და სასარგებლოს, ამაღლებულისა და ჩვეულებრივის, ზღაპრულისა და რეალურის ყველაზე მაღალი გამოხატულება. ტყე ოკეანეა, მცენარეთა ოკეანე, აქ ისევე მსუბუქად და თავისუფლად სუნთქავს კაცი, როგორც ოკეანის ზედაპირზე; ყველგან, სადაც კი თვალი სწვდება, სიმწვანე, სიმშვიდე და ნეტარება, ფორმების, ფერების, ბგერების წარმოუდგენელი შეხამებაა! ეს ზღაპრული, ჯადოსნური სამყაროა!

ტყე პეიზაჟთა უსასრულო მონაცვლეობაა: მხიარულისა — ნაღვლიანთან, მდიდრულად მორთულ-მოკაზმულისა — მეჩხერთან და ღარიბთან, მკვეთრად განათებულისა — უღრანთან, ადვილად ჩასაწვდომისა

— გამოუცნობთან, ხმაურით აღსავსისა — ყრუ-მუნჯთან...

ახლა ფერთა პალიტრა! ისიც ასევე ამოუწურავია, თუმცა ჭარბობს მწვანე — სიცოცხლის, ახალგაზრდობის ფერი! მაგრამ ტყეში ვხვდებით ლურჯ-იისფერთან მიახლოებულ მუქ ტონსაც, რომელიც ადგილ-ადგილ უფრო ნათელი, ლაჟვარდოვანთან მიახლოებული ხდება.

ტყე ბგერათა მთელი სიმფონიაა! იგი ხმაურობს ქარისაგან, ჭრიალებს სიბერეში შესულ ხეთა ზროებისაგან, მღერის ფრინველთა ხმებით.

ყველაფერი ეს დიდებულია, ფანტასტიკურია, მაგრამ... მეტის თქმით შეიძლება შეუმჩნევლად გადავაბიჯო იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც იწყება რეალურის იდეალიზაცია, დიდის, ბუმბერაზის კერპად ქცევა, ამას კი შეიძლება თვით ტყის ცნების არასასურველი დევალვაციაც მოჰყვეს.

ტყე კი, როგორც მთელი ბუნება, ურთულესი რამ არის. ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა".

ტყის არაიდეალიზებულ, რეალურ სამყაროში ზემოთ აღწერილ მშვენიერებასთან ერთად ფუსფუსებს ათასგვარი სისხლისმწოველი მწერი, დაეხეტება სისხლისმსმელი მხეცი, ტყისავე გაუვალი ჭაობები მომაკვდინებელი ადგილებია, ზოგან ვერაგი, ენცეფალიტის გამომწვეველი ტკიპაა ჩასაფრებული...

მაშ, რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს ტყე, ზღაპრული სილამაზის სამყაროს თუ უწმინდურ ძალთა ბუდეს? ზღვა სიხარულს თუ ბნელ მოჩვენებათა ბუდეს? ეს ძნელად გადასაწყვეტი, „წყევლა-კრულვიანი საკითხავია", მაგრამ რაც უფრო მეტად იარაღდება ადამიანი ცოდნით, მით უფრო „კლებულობს" ტყის უღრანებში ჩაბუდებული „უწმინდური ძალები", — ჭინკები და დემონები, ეშმაკები და ალქაჯები.

ტყე არც ახლაა უვნებელი. რაც უფრო მეტი ტერიტორია უკავია მას, მით მეტი ჩვენდამი მტრულად განწყობილი არსება ბინადრობს შიგ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ტაიგაში გზადაკარგულმა ადამიანმა უნდა დაიცვას უსაფრთხოების შესაფერისი ნორმები. კავკასიის ტყეები გაცილებით უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ადამიანებით, მაგრამ ვერავინ დაამტკიცებს, რომ აქ არ შეიძლება დაიბნეს, მხეცს არ გადაეყაროს, ანდა ჭაობში არ ჩაიფლას კაცი.

ტყის სილამაზესა და მომხიბვლელობას, უპირველეს ყოვლისა, პოეზია უმღერის.

ტყე ქართული ზეპირსიტყვიერების უშრეტი წყაროა. ხალხის წიაღში აღმოცენდა ქართული ტყის საგალობელი — „ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო".

ლაღადისად ისმის ვაჟას სტრიქონები:

*შენ გენაცვალე, ტყევ დაბურულო,*
*ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო,*
*რომ საზრდოს მაძლევ, — არ დამჩაგრეო,*
*ჩემო მშობელო, ტურფა მხარეო!..*

ტყის თემა ი. ტურგენევის, ლ. ტოლსტოის, ს. აქსაკოვის შემოქმედების ნათელ ფურცლებს ქმნის. თანამედროვე შემოქმედთაგან ტყეს ყველაზე დიდი ხარკი გადაუხადა ლ. ლეონოვმა. მისი რომანი „რუსული ტყე" უდიდესი მიზიდულობის მქონე ნაწარმოებია. ამ რომანმა არა მარტო ახლებურად გახსნა წიგნარის სილამაზე და დიდებულება, არამედ მილიონობით ადამიანი ფეხზე დააყენა მის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად, უმაღლესი მორალური ნორმის კატეგორიაში აიყვანა „მწვანე მეგობრისადმი" დახმარება.

რუსული ტყისგან დიდად არიან დავალებული სხვა რუსი შემოქმედნიც. განა შემთხვევითია, რომ ჩაიკოვსკიმ თავისი საუკეთესო ნაწარმოებები ტვერის მიწაზე, იქაურ ტყეში აგებულ სახლში შექმნა? ბოროდინოს ტყეთა შემოდგომის ფერები გახდა ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი თემა ა. პუშკინის შემოქმედებაში. იასნაია პოლიანას, შახმატოვოს, მეშჩერის ტყის ტევრებმა არაერთი მხატვრული შედევრი შეაქმნევინა რუსული ლიტერატურის წარმომადგენლებს.



ქართული მწერლობისათვის ტყე დედის ძუძუა. ვისაც მისი ხსენი არ უგემია, მის შემოქმედებას მადლი და ძარღვი აკლია. აკი დიდი ილია მამულის აყვავების ნატვრას „ტყეშ მოისხა ფოთოლით" იწყებდა! ვაჟა ფშაველა კი ასე ამბობდა: „მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრებაო". კონსტანტინე გამსახურდიამ ერთ-ერთ თავის მოთხრობას „ჰიმნი ხეებისადმი" უწოდა.

ტყის შთამაგონებელ ძალას ვგრძნობთ ლევან გოთუას მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში. ბუნების წიაღი, ტყე შემოქმედებით იმპულსს აძლევს ისეთ თანამედროვე მწერლებს, როგორიც არიან რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი და სხვები.

ტყეს ხარკი გადაუხადეს ქართველმა კომპოზიტორებმა. ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა" გულგრილს არავის ტოვებს.

ტყის სტიქიის მშვენიერებათა სინათლეზე გამოტანაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფერწერას. რუსულმა პეიზაჟურმა ფერწერამ თავის მწვერვალებს მიაღწია ფუნჯის ისეთი ოსტატების ნამუშევრებში, როგორიც არიან ი. ლევიტანი, ა. კუინჯი, ი. შიშკინი. მათი ტილოები რუსული ბუნების სადღესასწაულო ჰიმნია. ესაა მინდვრებისა და ველების უკიდეგანო სივრცეები, სიმწიფეში შესული ხორბლის ოქროს ყანა, ტბათა სარკოვანი ზედაპირი, ტყის ნაკადულთა და მდინარეთა ბროლისებრი სიწმინდე. ტყეების განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა შიშკინს. ამიტომ შეძლო კიდეც გადმოეცა ბუნების ეს სასწაული იმდენად ღრმად და დიდებულად, რომ შიშკინის ტილოების მნახველს თითქოსდა ესმის ტყის სიღრმეთა ძახილი.

ტყე სიცოცხლის უმძლავრესი გამოხატულებაა, ხოლო სიცოცხლე თავისი მაღალი ფორმებით მშვენიერების განსახიერებას წარმოადგენს.




# ფსოვი



შევარდნისნაირთა რიგისა და ქორისებრთა ოჯახის ეს საინტერესო წარმომადგენელი დღეისათვის იშვიათ ფრინველთა რიცხვში ითვლება.

ფსოვი გავრცელებულია ევრაზიაში, ისლანდიასა და გრენლანდიაში, ზამთრობს ჩრდილო აფრიკაშიც, საქართველოში ფსოვი გვხვდებოდა ახალციხეში, აწყურში, ბორჯომში, მცხეთაში, თეთრიწყაროს მიდამოებსა და თბილისის შემოგარენშიც კი. ამჟამად თითქმის აღარ გვხვდება შირაქელდარის ველის, ერწოსა და პალიასტომის ტბების მიდამოებისა და ჯავახეთის გარდა ვარაუდობენ, რომ ახლა მისი რაოდენობა ჩვენში 20 ეგზემპლარს არ უნდა აღემატებოდეს.

თეთრკუდა არწივი მეტწილად მდინარეების, ტბებისა და ზღვების ნაპირებსა და ჭალებს ეტანება. მისი საბუდარი ტერიტორიები მკვეთრად შემცირდა სწრაფი ანთროპოგენიზაციის გამო.

ფსოვი საკმაოდ მოზრდილ ბუდეს იკეთებს და საამისოდ მაღალ ხეს ირჩევს. ხანდახან რამდენიმე ბუდესაც იკეთებს, რომლებსაც მორიგეობით იყენებს. მარტში დებს 1-3 კვერცხს. ინკუბაცია ერთ თვეს გრძელდება.

ფსოვის რიცხოვნობის შემცირების მიზეზებია: მტაცებელი ფრინველების მოკვლისთვის პრემიის გაცემის ადრე არსებული წესი, წყალსატევების შხამებით გაჭუჭყიანება; მავნე მღრღნელების წინააღმდეგ შხამქიმიკატების გამოყენება, საბუდრების მოშლა.

ტყვეობაში ფსოვი ვერ მრავლდება.

შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში."

# უცხოური იუმორი

### გამოცდა უცხო ენაში

აუდიტორიიდან გამოსულ სტუდენტს ამხანაგები შემოეხვივნენ:

— ჩააბარე?

— მგონი.

— რა გკითხა?

— აბა რა ვიცი, ის ხომ ინგლისურად მეკითხებოდა.

### სამი დიდი მკურნალი

კოლეგებით გარშემორტყმული სახელგანთქმული ფრანგი ექიმი სიკვდილის სარეცელზე იწვა.

— ბატონებო, — თქვა მან, ჩემი სიკვდილის შემდეგ სამ დიდ მკურნალს ვტოვებ.

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ ის სამი მათ შორის იყო, და სთხოვეს დაესახელებინა.

— წყალი, მოძრაობა, დიეტა, — გაისმა მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები.

### ზუსტი პასუხი

პ რ ო ფ ე ს ო რ ი: რომელი ორი სიტყვაა, რომლებსაც სტუდენტები ყველაზე ხშირად ხმარობენ?

ს ტ უ დ ე ნ ტ ი: არ ვიცი.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი: სწორია.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ზაქარიაძემ


## თქვენზე სწრაფად, თქვენზე ზუსტად...

ეს მინიატურული გამომთვლელი მანქანები ყველა ოპერაციას — მარტივი არითმეტიკულიდან რთულ ლოგარითმულამდე ასრულებს სწრაფად და უშეცდომოდ.

ძვირფასო მოსწავლეებო, შეიძინეთ მიკროკალკულატორი, იგი გააღრმავებს თქვენს ცოდნას, გამოაწრთობს საზრიანობას, შეგიმსუბუქებთ შრომას (ფასი — 25 მანეთიდან 150 მანეთამდე).

„ელექტრონიკის" მარკით გამოშვებული საქონელი საიმედოა და მაღალი ხარისხის გარანტიაა!

საფირმო მაღაზია „ელექტრონიკა", საქართველოს სარეკლამო სააგენტო.




## პასუხი 1985 წლის № 4-ში დასმულ კითხვებზე



# ტიმოთესუბნის ეკლესია

ტიმოთესუბნის ეკლესია ბორჯომთან, წაღვერიდან 3 კილომეტრის დაშორებით, მდ.. თორის (ახლანდელი გუჯარეთისწყალი) ღრმა და ვიწრო ხეობაში მდებარეობს. გუჯარეთის (თორის) წყლის გაღმა განმარტოებით აღმართული კლდიდან უზნარიანის ციხე გადმოგვყურებს. „კიმოთესუბნის ქვეით არის ციხე, თორის წყლის აღმოსავლეთის კლდესა, ზედა უზუნარიანისა, ციხე ფრიად მაგარი“ (ვახუშტი). ეს ციხე, ჩანს, თორელთა საგვარეულო ციხე ყოფილა. ტიმოთესუბანში (მას კიმოთესუბანსაც უწოდებენ, ასე ჰქვია აქ მდებარე სოფელსაც) დღესაც შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ნაგებობათა ნანგრევები. აკად. ნ. ბერძენიშვილი ტიმოთესუბნის მონასტრის პატარა ეკლესიის ერთ წარწერაში მოხსენიებულ შალვას აიგივებს ცნობილ სამხედრო მოღვაწე შალვა თორელ-ახალციხელთან, რომელიც 1226 წელს დაიღუპა ჯალალედინთან ბრძოლის დროს. მონასტერი XVIII საუკუნემდე მოქმედი იყო, XIX საუკუნეში იგი დაყრუვდა და დაცარიელდა, შენობები კი დაინგრა. ტიმოთესუბნის გუმბათიანი ეკლესია რამდენჯერმე შეაკეთეს.

ისტორიული წყაროები ძეგლის შესახებ დუმან, არც ძეგლზეა რაიმე თარიღი ან ეპოქის მიმნიშვნელი წარწერა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ წარწერას, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

პირველი ისტორიკოსი, რომელიც ტიმოთესუბნის მონასტერს იხსენიებს, ვახუშტი ბატონიშვილია: „თორის წყლის აღმოსავლეთით არის კიმოთესუბანი, მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი“. ძეგლზე სხვადასხვა დროს ლაპარაკობდნენ მარი ბროსე, აკად. ნ. კონდაკოვი, ე. თაყაიშვილი, ვ. ლაზარევი. მიუხედავად ასეთი ინტერესისა, ძეგლის საგულდაგულო შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა.

ტიმოთესუბნის სამონასტრო კომპლექსის შენობათა შორის მთავარი ნაგებობაა წმ. მარიამის დიდი გუმბათიანი ეკლესია. მისი გეგმა რთულია. სამი მკლავი სწორხაზოვანი აქვს, მეოთხე, აღმოსავლეთისა კი — წრიული. აქ სამი დამოუკიდებელი წახნაგოვანი აფსიდი გეგმიდან გარეთაა გამოწეული. აფსიდების გარე კონტური უფორმო წრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძარი აგებულია აგურით და მოკლებულია ყოველგვარ დეკორატიულ გაფორმებას. შიგა სივრცის გადაწყვეტა ჩვეულებრივია; ცენტრში აღმართულია გუმბათი, რომელიც საკურთხევლის კუთხეებისა და დასავლეთის ბურჯებს ეყრდნობა. გვერდითი მკლავები შედარებით მოკლეა, დანარჩენი ორი კი — გრძელი. გვერდითი ნავები თაღებითაა გამოყოფილი. საკურთხეველი სამი ნაწილისაგან შედგება. გვერდითი სათავსოებიც, სადიაკვნო და სამკვეთლო, აფსიდებით მთავრდება. საკურთხეველი ამაღლებულია ერთი საფეხურით, სარკმლების ქვეშ კიდევ ერთი საფეხურია, ცენტრშიც ერთი საფეხურია დამატებული. ეს, როგორც ჩანს, მღვდელმთავრის დასაჯდომი ადგილი იყო. საკურთხევლის გვერდითი სათავსოები — სადიაკვნე და სამკვეთლო ორსართულიანია; სამკვეთლო ერთი კარით უკავშირდება საკურთხეველს. ტრაპეზი მხოლოდ საკურთხეველს შერჩა. ტაძარში შესვლა შეიძლება დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან. ორივე კარი არქიტრავითაა გადახურული, შიგნიდან კი თაღოვანია, ტაძარი კარგადაა განათებული გუმბათის ყელში გაჭრილი 12 სარკმლით. ამას გარდა, საკურთხევლისა და გვერდით ნაწილებში სამ-სამი სარკმელია. დასავლეთის მკლავს ერთი სარკმელი აქვს, ჩრდილოეთის სარკმელები ამოქოლილია. აღმოსავლეთის ფასადი მხატვრული გაფორმებით განსხვავდება სხვა ფასადებისაგან; სხვა ფასადები დეკორატიულად გაფორმებული არ არის. აღმოსავლეთისა კი შვერილი აფსიდებითაა გაფორმებული. მაღალი და ფართოა შუა ხუთწახნაგოვანი აფსიდი. სადიაკვნეს აფსიდს შვიდი წახნაგი აქვს, სამკვეთლოსას — ექვსი. ტაძარს დასავლეთიდან მიდგმული აქვს მცირე ზომის კარიბჭე (ორფერდიანი გადახურვით). ეკლესია გადახურულია ქვის ფილებით (მაგრამ გადახურვა თავდაპირველი არ ჩანს: ეზოში ყრია ფერადი კრამიტის ნატეხები — ალბათ ადრეული სახურავის ფრაგმენტები). გუმბათის ყელი ცილინდრულია, დამუშავებულია თაღედით; სარკმლებიც თაღებშია ჩასმული, გუმბათის ყელი გაფორმებულია ცისფერი კერამიკული ფილებით, იგი ფრიზივით გასდევს აგრეთვე კარნიზის ქვემო ნაწილს. ასეთივე ფილებისაგან თაღედის არეში ჯვრებია შექმნილი. სამშენებლო აგური კვადრატული ფორმისაა, ხსნარი სქელია. განირჩევა კარნიზის ორი ფენა. ადრეული ფენა უფრო კარგადაა დამუშავებული. კარნიზი ყველგან შემორჩენილი არ არის.



## ბრალდება თახვებს

თახვები ყოველთვის უჩენდნენ საზრუნავს მეტყევეებს—ხან აკრძალულ ადგილას წააქცევდნენ ხეს, ხან ნაკადულს დატბორავდნენ. ახლახან კი მათ ძალზე სერიოზული ბრალდება წაუყენეს.

ხუთი ათასი წლის წინათ ჩრდილოეთ ევროპა თითქმის მთლიანად ტყეებით იყო დაფარული, ამჟამად კი მათ მთელი ტერიტორიის მხოლოდ მესამედი უჭირავთ. ამაში ადამიანს ადანაშაულებდნენ — რადგან იგი ჩეხავს ტყეს, აშრობს ჭაობებს, ხნავს მიწას, აშენებს ქალაქებს...

კემბრიჯის უნივერსიტეტის (ინგლისი) თანამშრომლის ჯონ კოლზის აზრით, ტყის განადგურებაში თახვებსაც მიუძღვით დანაშაული. ტყის მდინარეების დატბორვა ლოკალურ წყალდიდობას იწვევს, რაც ნიადაგის დაჭაობების მიზეზი ხდება. იქ კი ხეები, როგორც იტყვიან, ზეზეულად ხმებიან.

## ხმელეთი აღარ ჰყოფნით

იაპონიის დედაქალაქის საცხოვრებელი ფართის ზრდა ოკეანის ხარჯზე მიმდინარეობს. ინჟინერმა კ. ტარაიმ მცურავი ქალაქის პროექტი შეადგინა. მას ააგებენ ტოკიოდან 200 კმ-ის დაშორებით. ქალაქი 4 გემბანზე მოთავსდება, თითოეულის ფართობი 5 კვადრატული კილომეტრია. ზედა სართულზე ააშენებენ მაღაზიებს, აეროპორტს, გააშენებენ პარკს, მეორე იარუსი განსაზღვრულია ტრანსპორტის და მეტროპოლიტენისათვის. სამრეწველო ზონა დაიჭერს მესამეს. უკანასკნელ მეოთხე იარუსზე გაიყვანენ კანალიზაციას, კავშირგაბმულობის სისტემასა და სხვა საარსებო კომუნიკაციებს. მთელი კონსტრუქცია მოთავსდება რეზერვუა-

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

ბავშვებო, მოგვწერეთ, რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ.



ტიმოთესუბნის ეკლესია ცენტრალურ-გუმბათიანი ძეგლია, თუმცა ამ ჯგუფის ტიპურ წარმომადგენლად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი მაინც თავისებურადაა გადაწყვეტილი: ესაა მისი შვერილი აფსიდები, რომლებიც ძეგლს თავისებურ ხასიათს ანიჭებენ. ასეთი ფორმის აფსიდები დამახასიათებელია ადრეული ძეგლებისათვის.

ძეგლის კომპოზიციის ძირითადი ნაწილია გუმბათი. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. ტაძარი კარგადაა განათებული, უფრო უხვადაა განათებული, გუმბათქვეშა სივრცე. ამით ოსტატმა შექმნა ფერწერული განათება, რაც გარკვეულ მხატვრულ შთაბეჭდილებას ქმნის.

ტიმოთესუბნის ეკლესია დათარიღებულია შედარებითი მეთოდით. იგი ყინწვისისა და ბეთანიის ხუროთმოძღვრული ძეგლების ტიპის გაგრძელებაა, ამიტომაც მკვლევარები მას XII-XIII სს მიჯნის ძეგლად თვლიან.

ეკლესიის ინტერიერი მთლიანად მოხატულია, მხატვრობა შედარებით კარგადაა დაცული. აქ სულ 31 კომპოზიციაა (ამათგან 5 დაღუპულია). ეკლესიის კედლებზე გამოსახულია სახარების, ღვთისმშობლისა და ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენები. ფიგურები მოძრავი, ემოციური, მოქნილი და ელასტიურია. ოსტატურადაა შესრულებული ტანსაცმლის ნაოჭები. ღრმა დრამატიზმით, კოლორიტით მხატვრობა ენათესავება ვარძიის, ყინწვისის, ბეთანიის, ბერთუბნის ეკლესიების კედლის მხატვრობას.


ამირან ჩხარტიშვილი,

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.


**არქიტრავი** — სწორხაზოვანი გადახურვა.

**აფსიდი** — წრიული ან მრავალწახნაგოვანი მოხაზულობის საკურთხევლის ნაწილი.

**გუმბათის ყელი** — გუმბათის მზიდი ნაწილი.

**თაღედი** — სვეტებზე ან ბოძებზე დაყრდნობილი თაღების რიგი.

**კარნიზი** (ლავგარდანი) — კედლის დამაგვირგვინებელი პროფილირებული ელემენტი.

**ნავი** — შენობის გრძივი ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სვეტების რიგით.

**ნიში** — სხვადასხვა ფორმის კედელში შეღრმავებული ნაწილი განჯინის მოსაწყობად.

**სადიაკვნე** — საკურთხევლის სამხრეთით განლაგებული სათავსი.

**სამკვეთლო** — საკურთხევლის ჩრდილოეთით განლაგებული სათავსი.

**ტრაპეზი** — მაგიდა, სუფრა, ტაბლა.

რებთან დაკავშირებულ 10 000 ფოლადის მილოვან ხიმინჯზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მცურავი ქალაქის წონასწორობას.

## ასაკი — 124 მილიონი წელი

ამას წინათ ლონდონის მახლობლად ერთ-ერთ თიხის კარიერში უცნობი სახეობის დინოზავრის ჩონჩხი იპოვეს. სთვლიან, რომ ეს ყველაზე დიდი პალეონტოლოგიური ნაპოვნია ინგლისში. ცხოველის სიგრძე 3,5-4,5 მეტრია, ასაკი — 124 მლნ წელი.

## მიკროანთროპოიდი

ადამიანის მსგავს მაიმუნებში ყველაზე პატარად აქამდე ჯუჯა შიმპანზე ითვლებოდა. ახლახან ეგვიპტეში იპოვეს დღემდე უცნობი მაიმუნის ნეშტი (მისი ასაკი 40 მილიონი წელია). ჩონჩხის მიხედვით დაადგინეს, რომ ზომით იგი ზაზუნაზე ოდნავ დიდი იყო და სულ რაღაც 200 გრამს იწონიდა, კბილების განლაგების მიხედვით გაირკვა, რომ იგი ხილით, ბოსტნეულითა და მწერებით იკვებებოდა.

## ვეშაპების „საუბარი“

ცნობილია, რომ წყალში ბგერა შუქზე უფრო დიდ მანძილზე ვრცელდება, ამიტომ წყალქვეშა სამყაროს ბინადარნი ურთიერთობის დასამყარებლად აკუსტიკურ სიგნალებს იყენებენ.

ამერიკელმა იქთიოლოგმა კრისტოფერ კლირკმა, რომელიც ვეშაპების ცხოვრებას სწავლობს, დაადგინა, რომ მათ შეუძლიათ 80 კმ-ის მანძილზე აღიქვან ბგერები. განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში და დიდ სიღრმეზე კი „საუბარი“ შეუძლიათ მაშინაც, როცა მათ შორის 1000 კილომეტრია!

## ვერაფერს დააკლებს ზაფხულის პაპანაქება

ჩვეულებრივი მზის ქოლგა ადამიანს სიცხისაგან მაინცდამაინც ვერ იფარავს. ინგლისელმა დიზაინერებმა ქოლგაში პატარა ვენტილატორი ჩაამაგრეს, რომელიც ბატარეებით მუშაობს და ქოლგის გახსნისას ავტომატურად ირთვება. ვენტილატორი მფლობელს სასიამოვნო ნიავს უქმნის.



თა სახურავს), შეგიძლია ჩათვალო, რომ პრობლემა გადაჭრილია.

თუ სლაიდებს დაუჭრელი ფირით უჩვენებ ხოლმე, გაკაწვრისაგან მისი დაცვის მიზნით (ნაკაწრები, ჩვეულებრივ, დიაპროექტორის საკადრე ჩარჩოში გატარებისას უჩნდება), ფირის პერფორაციაში 0,1 მმ სისქე კაპრონის ძაფი გაატარე და შეგიძლია მშვიდად განაგრძო სლაიდების დემონსტრირება.

მიწაში ჩაფლული აბაზანისაგან საგარაკო ნაკვეთში შეგიძლია მშვენიერი დეკორატიული წყალსაცავი მოაწყო. ფსკერი სილითა და ლამაზი კენჭებით დაუფარე და შიგ წყალმცენარეები ჩარგე; ყვავილები შემოურგე გარშემოც. ერთი სიტყვით, გააფორმე საკუთარი გემოვნებით.

თუ ველოსიპედის კამერა („სალიუტისა" და მისთანათა) გაგიფუჭდა, შეგიძლია იგი საგზაო ველოსიპედის უფრო დიდი ზომის კამერით შეცვალო. კამერა საბურავში მოათავსე, ზედმეტი ნაწილი გადაუკეცე და გაბერე.

გამუქებული ვერცხლისა და მელქიორის დანა-ჩანგალი ნივრის ჩენჩოს კონცენტრირებულ ნახარშში ადუღე და მალე უწინდებურად დაიწყებენ პრიალს. დუღილის ხანგრძლივობა გაჭუჭყიანების დონეზეა დამოკიდებული.

ნახევარლიტრიან ბოთლებს, რომელთაც ხრახნიანი ხუფი აქვთ, ხშირად იყენებენ ქიმიური რეაქტივების გამხსნელების თუ სხვადასხვა სახის ზეთისათვის, მაგრამ ხუფი სწრაფად ფუჭდება. თუ ლითონის ხუფის ნაცვლად პლასტმასისას გამოიყენებ (ტუშის ან ქიმიური მელნის ფლაკონთა სახურავს), შეგიძლია ჩათვალო, რომ პრობლემა გადაჭრილია.

კედლისა და ჭერის შესაღებ წყალემულსიას უმთავრესად თეთრი ფერისას უშვებენ. თუ სხვა ფერისა გჭირდება, ქსოვილის ანალინური საღებავები შეგიძლია შეურიო.

ქვის, ლითონის, პლასტმასისა და ხის მომცრო დეტალების გასაპრიალებლად შეგიძლია გამოიყენო დაძველებული ვიბრაციული ელექტროსაპარსი. დანების ბლოკის ნაცვლად ღერძზე ქეჩაგადაკრული პლასტმასის ფირფიტა ჩამოაცვი. ქეჩას საპრიალებელი პასტა წასცხე და მუშაობას შეუდექი.

დიდი ზომის მინის ან სარკის გადატანა ასეთი ხერხითაც შეიძლება, ორმაგყულფიანი თოკი მხარზე გადაიკიდე, ხოლო თოკმა რომ არ ისრიალოს და მინაც მოხერხებულად გეჭიროს, თოკის შტოებს შორის განმბჯენი ჩასვი და პრობლემაც გადაიჭრება.

როცა არადასაშლელი პლასტმასის ელექტროჩანგალი მწყობრიდან გამოვა, მის გადაგდებას ნუ იჩქარებ. გაჭერი იგი მანჭვალთა გასწვრივ, მავთულის ბოლო გაწმინდე, მანჭვალს მიარჩილე, განაჭერი ისევ დააწებე. ზედ ძაფის არტახები დაადე და ელექტროჩანგალი კიდევ კარგა ხანს მოგემსახურება.

თუ ჩაის სანაყენო ჩაიდანს მდუღარეწყლიან ქვაბში ჩადგამ, ნაყენი უფრო სწრაფად მომზადდება და მაღალხარისხოვანიც გამოგივა.

იქნებ შენს ოჯახში საბეჭდ მანქანას ხმარობენ? თუ ასეა, ურჩიე გამოიყენონ გამჭვირვალე სახაზავი: იგი ისე უნდა დაიდოს ტექსტზე, რომ პირველი სტრიქონი სახაზავის წიბოს ქვემოთ იყოს, მეორე კი — მის ქვეშ. ამით სახაზავის გადაადგილების რაოდენობა და დრო ორჯერ მცირდება



# სარჩევი


მშვიდობა ბავშვებს, მშვიდობა პლანეტას! . . . გარეკ. 2
მ. კარგარეთელი — რა დაგვავიწყებს იმ დღეებს (ნარკვევი) 1
მ. არაგული — გიგას აღმართ-დაღმართები (მოთხრობა) . . 3
გ. ბარჯაძე — სპორტული მოდელიზმი (წერილი) . . . . 2
გ. გიგაური — დაბრუნება (ლექსი) . . . . 11
რ. ჩაჩანიძე — ლედი ჯეინის სიკვდილი (მოთხრობა) . . . 12
ს. შამფრიანი — შემოდგომის სურათები (ლექსები) . . . 17
აისი . . . . 18
ნ. ანდრონიკაშვილი — ზამბახი; ნუ გეშინია, მოვდივართ! (ჩანახატები) . . . . 21
კოცონი . . . . 23
კ. დავიდი — დამპყრობელთა წინაშე არ დავუკრავ (მოთხრობა) . . . . 24
არნ. გეგეჭკორი — ბუნების მწვანე სამკაული (წერილი) . 26
უცხოური იუმორი . . . . 29
ბუნების კარი . . . . 29
თქვენზე სწრაფად, თქვენზე ზუსტად (რეკლამა) . . . . 29
ა. ჩხარტიშვილი — ტიმოთესუბნის ეკლესია (წერილი) . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . 30
გამოგადგები . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . გარეკ. 3
თ. ჯალაღანია — პაოლო ვერონეზე (წერილი) . . გარეკ. 4


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-92, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 08. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 10. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1912. ტირაჟი 155.000. ეგზ., უე 05395.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 155.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კროსვორდი



**თარაზულად.** 1. სახელდახელოდ შესრულებული ნახატი ან ნახაზი; 3. გეოგრაფიული რუკების კრებული; 6. სპორტული თამაში; 9. თურქეთის ქალაქი; **10.** სოფელი საგარეჯოს რაიონში; 11. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 12. ქალაქი ვორონეჟის ოლქში; 13. რაიმე ნაწარმოების ან გამოგონების შემქმნელი: 19. პირი, რომელიც კამათში გამოდის ვისიმე მოსაზრების, ვისიმე დასაბუთების წინააღმდეგ: 20. სპეციალურად მოწყობილი ადგილი ცხენოსნობაში შესაჯიბრებლად. 21. სპეციალისტი, რომელსაც იწვევენ რთულ, სადავო შემთხვევებში სწორი დასკვნის მისაცემად; 24. ქალაქი მდინარე სერებრიანკისთან; 26. სოფელი ცაგერის რაიონში: 27. სოფელი საჩხერის რაიონში: 31. თვითმავალი მანქანა; 32. გარეული პიტნა: 34. კვერთხი; 35. თვალის ფერადი გარსი; 36. გარეული ფრინველი; 37. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება.

**შვეულად:** 1. გარეული ფრინველი; 2. სხვადასხვა ფერის მინერალი; 4. გადასაზიდ საშუალებათა რაიმე სახეობა; 5. უზბეკეთის ქალაქი; 7. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 8. სოფელი თელავის რაიონში; 12. ერთი მომღერლისათვის განკუთვნილი მუსიკალური ნაწარმოები ან პარტია; 14. შექსპირის ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი; 15. ადამიანი, რომელმაც პირველმა შეაღწია გამოუკვლეველ ქვეყანაში და დაასახლდა იქ; 16. სპორტული ერთ ან ორადგილიანი ნავი: 17. ელექტრული სადენი, ზონარი; 18. რისამე მარაგი; 22. სამშენებლო მასალა: 23. მოლარე, რომელიც გასცემს ან იღებს ფულს დაწესებულების გარეთ; 24. ქალაქი რუსეთის სამხრეთში; 25. თბილისის პატარა მდინარე; 28. ერთ-ერთი ჯიშის ვაშლი; 29. აფრიკის სახელმწიფო; 30. მასობრივი სპორტული სირბილი დაბრკოლებების გადალახვით; 32. გამოუწვავი აგური.

შეადგინა ალ. ბორგიშვილმა

## სცადეთ!

სცადეთ ეს ნაჭერი 6 ტოლ ნაწილად გაყოთ.



## მეტაგრამები

დასაწყისი სიტყვის პოვნა
ადვილია მეტად,
შეჯიბრების ნაწილია,
რომელია ნეტავ?
მერე შეცვლა დაგვჭირდება
დასასრული ბგერის, —
აკივლდება შინაური
ფრინველების მტერი.

უდიდესი მდინარეა,
რაც საწყისად გვინდა,
საამურად მოიმღერის
ბაიკალის მთიდან.
თავკიდური თანხმოვანი
შეუცვალე სიტყვას. —
საფრანგეთში მილივლივებს,
რომელია, მითხარ?

შ. ამირანაშვილი

## საათის კალენდრით

არის საათი, რომელიც დღე-ღამის დროის გარდა თვის რიცხვებსაც უჩვენებს. ვინაიდან საათის კალენდარი 31-დღიანია, როცა თვის დღეთა რაოდენობა 31-ზე ნაკლებია, საჭირო ხდება მრიცხველის გადაყვანა თვის იმ რიცხვამდე, რომელსაც იგი ჩამორჩა.

ვთქვათ, მთელი თორმეტი თვის განმავლობაში საათის კალენდრის მრიცხველს რეგულირება არ გაუკეთდა, მაშინ 31 დეკემბრისთვის რომელი რიცხვი იქნება კალენდრის მაჩვენებელზე და როდის დადგება ახალი წელი — 1 იანვარი?

რ. თავარიანი

## პასუხი № 9-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

თარაზულად: 1. გვირილა; 3. კათხა; 5. „პიონერი": 8. სიცილია; 11. წიგნი; 12. მერხი; 14. ბანი; 15. „თეო"; 16. ურო; 17. ზარი; 18. ოდერი; 20. ნართი; 21. მარჯანი; 22. ამანათი; 23. ისანი; 28. სუმატრა.

შვეულად: 2. ფარი; 3. კერძი; 4. თუთა; 6. ხანი; 7. ასაკი; 8. სილეზია; 9. სია; 10. ამირანი; 11. წენგო; 13. ირანი; 19. ონი; 23. მარში; 24. თარგი; 25. უჯრა; 27. კაუი; 29. ლალი.

### შარადა

ქუთაისი

### მეტაგრამები

ნიუში—ციუში, ირემი — ურემი, კალამი — სალამი.

### ანაგრამები

აფრა — ფარი, ქორი—როქი, ქარი—ქირა, ზარი—აზრი, ფანჯარა — ჯაფარა.

### აბა, სცადეთ!

მაკრატლის ერთი გაჭრით მიიღება 5 ნაწილი და კვადრატი ლაგდება ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები.



1



2

ბიბლიოთეკა

# ჩვენი საგამოფენო დარბაზი



## პაოლო ვერონეზე

## „მოგვთა თაყვანისცემა“

ალბათ ქვეყნად არც ერთ მხატვარს არ მიუძღვნია მშობლიური ქალაქისათვის ისეთი აღფრთოვანებული ჰიმნი, როგორიც მიუძღვნა პაოლო ვერონეზემ, მე-16 საუკუნის სახელგანთქმულმა იტალიელმა მხატვარმა. მის ტილოებზე მშვენიერი ვენეცია — „ადრიატიკის მარგალიტი“ — არნახულ ბრწყინვალებას აფრქვევს. რა სიუჟეტსაც არ უნდა ასახავდეს მხატვარი — ანტიკური ბერძნული მითი იქნება ეს, ბიბლიური ლეგენდა თუ ალეგორიული კომპოზიცია, მოქმედება ყოველთვის მე-16 საუკუნის ვენეციაშია გადატანილი. ამის გამო პაოლო ვერონეზეს უსიამოვნებაც კი ჰქონდა ვენეციის ინკვიზიციასთან — საეკლესიო სამსჯავროსთან. მხატვარი სასამართლოს წინაშე წარსდგა იმის გამო, რომ რელიგიურ თემაზე შესრულებულ სურათზე „ნადიმი ლევის სახლში“ ქრისტე და მოციქულები მოქეიფეთა — მეომრებს, მასხარებს, მდიდრულად გამოწყობილ ქალბატონებს შორის გამოსახა. ინკვიზიციამ ჩათვალა, რომ ამით ვერონეზემ უხეშად დაარღვია ეკლესიის მიერ დაკანონებული ყველა წესი.

— თქვენი აზრით, ვინ იმყოფებოდა ლევისთან? —ჰკითხეს ვერონეზეს.

— მე მიმაჩნია, რომ მხოლოდ ქრისტე და მოციქულები, მაგრამ თუკი ტილოზე თავისუფალი ადგილი რჩება, ჩემი შეხედულებისამებრ ვავსებ სხვადასხვა ფიგურებით, — მიუგო მან.

უსაზღვრო იყო ინკვიზიტორების აღშფოთება, მაგრამ კიდევ უფრო უსაზღვრო იყო ვერონეზესადმი ხალხის სიყვარული და ამის გამო ინკვიზიტორებიც იძულებული გახდნენ მხატვარი გაეთავისუფლებინათ.

ვერონეზეს არც შემდგომში უღალატია თავისი პრინციპისათვის. ჩვენს წინაშეა მისი „მოგვთა თაყვანისცემა“. ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით ახალშობილ ქრისტეს ძღვენი მიართვეს აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეებმა და ბრძენთა. და აი, ამ სიუჟეტზე ვერონეზემ შექმნა გასაოცრად ეფექტური, დიდებულებითა და ზღაპრული ფუფუნებით აღსავსე კომპოზიცია. მოქმედება იშლება თეთრი მარმარილოს უზარმაზარი სვეტნარის ფონზე. წინა პლანი მთლად შევსებულია უამრავი პერსონაჟით — აქ არიან ღვთისმშობელი ყრმით, მოგვები, მსახურები, მეომრები, ათასგვარი ცხოველები, და ყოველი მათგანი უაღრესად ცოცხალ და მოძრავ პოზაშია გამოსახული.

ძვირფასი თვლებივით ელავს ვერონეზეს ნათელი, სუფთა და ძლიერი ფერები — ოქროსფერი, ცისფერი, წითელი, მწვანე, თეთრი და ვერცხლისფერი. აქ არც ერთი მონასმი არ არის ზედმეტი, შემთხვევითი, ყველაფერი გააზრებულია და ერთმანეთთან ჰარმონიულად შეხამებული.

ამ დინამიკური, დატვირთული სცენის უკან სიღრმეში იჭრება სვეტების მწკრივი, მათ შორის გამოჩენილი ვენეციური ცის ლაჟვარდოვანი სივრცე განუსაზღვრელ თავისუფლებას და სიმსუბუქეს ანიჭებს მთელ სურათს. იგი თითქოს ივსება ჰაერით, სინათლით, მზის ოქროსფერი სხივებით, რომლებიც ესალბუნება ყოველ ფიგურას, ყოველ ნივთს, ყოველ დეტალს და კიდევ უფრო ჰარმონიულსა და დახვეწილს ხდის მათ.

ვერონეზესათვის რელიგიური სიუჟეტი მხოლოდ საბაბია უაღრესად ეგზოტიკური, ლამაზი და დიდებული ზღაპრის შესაქმნელად; გულწრფელი სიამოვნებით ასახავს მხატვარი მოგვთა უცნაურ სამოსს, ზანგთა და არაბთა თავისებურ, სახასიათო გარეგნობას, ეგზოტიკურ ნივთებსა და ცხოველებს. იქ ყოველივე გამსჭვალულია ცინცხალი, ლაღი, საზეიმო განწყობილებით, რომელსაც ხშირად შეხვდებით ვერონეზეს ტილოებზე. თანამედროვეთა ცნობით თავად ვერონეზეც მხიარული და უდარდელი ხასიათისა ყოფილა. ამბობდნენ, რომ ამ გენიალური მხატვრის ბუნება „მსგავსია აპრილის ცაში მოგალობე ტოროლასიო“. ახლაც, ოთხასი წლის შემდეგ, პაოლო ვერონეზეს სურათები ისეთივე ძალით ხიბლავს მაყურებელს ნათელი, თავისუფალი სულით, ბრწყინვალე კოლორიტით და უმაღლესი მხატვრული ოსტატობით.

თეო ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე.